

ფთა და მცხოვრებლთა გაუწყებ და ვიბრძინებ და კიდევ გევდინები, რომელსაც იმ განწესების დავსწერ, თუ მე ჩემსა სახლსა და ოჯახზედ გარჯილობა და ქიბნახულობა მქონდეს და ან ქვეყანაზე ერდეულობით ვყოფილებულ და შემსახუროს, რაც ამაში დამიწერია, ის მიიღოთ რახანც (ნახანც?) მიიღებთ იმის ტოით, მასუებ არაოდეს შეოთისა და სისხლის დალვრისა და ერთმანერთის მტერობისა საფიქრებელი აღარა გეწნებათ-რა, ამ ჩემის აღწერილის აზრის მიხეჭით ამ ჩემის შეოლების საქმეში სრულად თქვენში შეოთს ველარ შემოიყვანენ და, თუ სხვაგნიდამ ვინმე შეოთს შემოვიდებენ, ტოით ამ ერთობით, რომელიც მე დამიწერია, კიდევ განზღვენით და წაიკ შეგვეწევათ სიყვარულსა და ამისთანას ერთობაში + ჩემს შეიღწევაცა და ქვეყანასაცა. 0

გ) ეს განზრახვა გაიხიჯულობა და დამტკიცება არაფრის სხვის საქმისა და მოგონებისა არა არის-რა. ამისი მხედველი რეით უფალი არის, რომ სახლეულობისა ჩემისა და შთასრულისა ნათესაობისა ჩემისა და შეილთა მათთათვის აღვწერე, რომ არ გოყირნენ, ერთ სამეურ იყოს და სიყვარულით იყვნენ და არ მტერობდნენ, ევრეთვე ქართველთა და კახოთვის, რომ ამ საქმით იყვნენ სიყვარულით დამტკიცებულნი ყოველნი ბატონი და ამხანავნი, რომ თქვენში ტოის წინააღმდეგი შერი და შერევნა არა მოხდეს რა და ის განწესება-ები, რომელიც ქვეით დაიწერება ჩემის სახლისა და საქართველოს დიდთა და მცირეთათვის, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემა შეილებმაც და შეილიშეილებმაც და საქართველოსა და კახეთისა ერთა იმ აზრებს არა მოაკლოთ რა, თორებ ჰერმიტობად, უკილოთ მაშინვე გამოჩნდება შერი და მრისხანება და ამასთან ხმალი დაიწერებს სისხლის ლერასა და ნათესავნი მახლობელნი და მოყვარენი საგულისგულონი შეირევიან, ზოგნი ერთის კერძოსაერენ დარჩება და ზოგი მეორეს კერძოს და, რაც ძალი ექნებათ შტრისათვის, ის მოყვარეზედ დაიხარჯება და ნათესავშე, და მოაკლდება ძალი ქართველთა და კახთა, და გრერი წინ წამოლებება და ზედაც შემოჯდება საქართველოებს

და მასუეან გარეუნიან წმიდასა სარწმუნოებასა, დასხავერენ უსაჯულონი საქართველოთა, გლობიკბლებიან, დამცირდებიან და ზოგი დაიღარტებიან და ასრე წახდებიან, და ეს ამით დაგემართებათ, ქართველო და კანო, რომ ჩემი შვილებისა, რაც დამიწერია, თუ იმაზე არ დაზღვეტით და ისინიც არ დააყენეთ, უკუდ იცოდეთ, რონ გაშოროსთ, მრავალი იყი დაგემართებათ. მოგეხსენებათ სამლელელოთაც და საერთოაც და ნახამთ, წაიკითხამთ ამას სრულათ, ცხადად სცნობთ ამ წერილიდამ, რომელიც დაიწერება და ან ზემოთ დაიწერა.

დ) სამობითსა და ერთობითსა წთსა ეფუცავ, რომ, რაც ეს განწესება დამიწერია, არავის შეეტყოს, არცა ვისთვის მეციონოს და არც ვისმე ერთიოს. და არავისმე მეტობის მონდომობით, არცა ვისმე დაკლებით მე ეს არ დამეწერიას და არც ჩემის გონების მეტი კაცი, ამისი მოქმედი და გამრჩეველი სხვა ამის დაწერადმდე არა მყოლოდეს, და ამაზედ ცილი ან მე არავინ დამწიმოს და ან სხვათ, რომ დიდი ცუდვა იქნება, და ეს ასე დამიჯერეთ შვილმაცა და ქვეყანამაცა.

ე) საყვარელონ შეიღნო ჩემნო და სხვანო სამლელელონო და საერთო მამანო და ძმანო, და შვილნო, და მევიმარნო ჩემნო! ჩეინ საქართველოს კაცნი ვართ და ჩვენის (ჩენის?) ქვეყნის სამართლის ჩეინ ვერ გადავაგდებთ და არც შეიძლება, და ბევრმაც რომ მოინდომოს, ძალიან გარჯა მოუნდება და წელიწადებიც ბევრი გაივლის, რომ სხვა ჩივი სამართლის ჩვეულება ჩამოაგდოს ეინმე, თუ არ დიღმა კელმწიფემ, მაგრამ ამასაც ხანგრძელი გარჯა მოუნდება, რომელიც საქართველოს სამართლები გაურიგებით, რაერთიც გვაძეს, ის ვვეულთა და დიდად მოსაწონი და პატიოსანი არის და ახლა, საყვარელონ ჩემნო, ერთობით ზემოხსენებულინო, თუ მე ასე არ გამესაჯა და ასე არ გამერიგებინა ჩემის შვილებისათვის და თქვენთვის ეს საბოლოო სიმტკიცე მშეიღობისა, სიყვარელისა და ერთობისა არ განშეწესებინა და თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მოშეცა და არ გამეჩინა, ან ერთმანერთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი და ან დავიარგვისა სულით და ხარცით

შინებად მე დავიდებოდი. მას უკან ჩაღა სიტყვის გებაღა  
ზემდელო წინაშე რთისა და ან წინაშე კაცთა? ეს წინა-  
შე კაცთა დაიწეროს, მარჯულ და მარცხულ არ მიმიხედავს  
და არ ერთისათვის არ მიმიკერძავს. არას შეტყობით და არას  
ჩემის გასინჯულობით ამის მეტი განზრახვა არა მქონია, რომ  
სამხოოსა და ცხოველ მყაფელისა სულისათვის, რაც ძაღლ მედა,  
იმისის თხოვით და ვედრებით დამიწერია ჩემის შეილების გზე-  
ბის ჩვენება და ეს განწესება, რომ თავთავისი წილი მიმიკა  
და გამირჩევია წილება გაყრისათვის და გაუყრილობისათვის,  
მიზეზები კეშმარიტნი და ნიშნები განცხადებულნი მათის ყოფ-  
ლის სულიერისა და ხორციელის ქცეულებისა და მოქმედები-  
სა, რომელიც საერთოს ძმობისა და სახლობის რიგი რჩობა და  
გაძლება და უფროს უმუროსობა და ბატონობა და უფლის  
წევლიბა, სამართლნი და მათი სამჯობინარი საბოლოო დამი-  
ნახებს, ის საფუძველი დამიდება, დამიწერია. თუ ეს ვისთვისმე  
მდკითხა, მე ამის ვეღარ შევიძლებდი და ვეღარც გავაკეთებდი  
ცა, თუ ხმა გამოსულიყო, ეგება დიდი შერევნაც მომზღარიყო  
და სულ მომეშლებოდა ეს დაწყობილება.

გ) ხმა შეილთა ჩემთა და ერთა სამღვდელოთა და საე-  
რთოაც ერთობით და ერთ ხმობით ტითისათვის ეს ჩემი აღწერი-  
ლი განწესება კეშმარიტებით ისმინდეთ და კიდეც მიიღეთ.

გ) შეწევნითა რთისათა აწ იწყება ჩემის შეილების ერ-  
თობისა და თავად კერძის განჩევა, თუ ჩოგორი ერთო-  
ბა დაიწერება და ან რომელსა და რომელთა ჩა აქვთ თავიან-  
თი საკუთარი წილი, რომელიც ის იმათი საკუთარი ნარგები  
მამული ყველას მისცემია და აქვსთ, და ეს წილი და კერძი მათა  
ყველა აღმოჩენილი არის, რომ ჩოგორ უნდა ერთად ძმობდნენ  
და ან თავისი წილი საკუთარი ჩა აქვთ განენილი.

გ) პირველიდ საერთოდ უნდა ქქონდესთ, როგორც ჩვეუ-  
ლება არის, კარის ყვლესია ერთი ტფილისს, ერთი თელის  
და ერთიც გორის ციხეში, რომ ეს ყვლესიანი ყველა ძმები-  
სა საერთო არის და რომელიც მამისა და პაპისა ჯვარნი, ხა-

ტნი და სიწმიდის იარაღნი აქვნდეს კველა, რომელიც რომელ-  
საც ეყვალესიაში ყოფილიყოს, იქაც უნდა იყოს.

თ) იქნება რომ დროს მიხედვით ეს წმინდანი ეყლესიე-  
ბის ჯვარნი და ხატნი დროს მიხედვით და სიწმიდის იარაღნი  
თუნდა თავისთან შეინახონ და, თუ უნდათ, რომელსაც ეყლე-  
სიაში ენებოსთ, იქ შეინახონ ერთმანერთის თანხმობით და  
სამღვდელოს კაცის რიგის მიცემისა, და ეყლესის საჭიროე-  
ბისა თავთავისის წილის სიბერით და სიცოტავით შებატონე  
და ძმები უნდა რიგს მისცემდნენ.

ა) უნდა დაიმარხონ ეს ჩემი განზრახვა ჩემთა შეიღებმა,  
რომ ყოველს საუფლოს დღეს, ჟონ აშოროს, თუ ერთი  
რამ მიხეში მიმდე არა ჰქონდესთ-რა, ერთად იდლესასწაულებდე-  
ნენ, რომდენ შეეძლოსთ. თუ, ვინ იყის, ზოგნი გარედ საქმეშედ  
წარსრულნი იყვნენ, იმათ იქ იდლესასწაულონ.

აბ) და აქვნდეს სახლიცა ერთი მოდიდო, რომ იმ დღე-  
სასწაულობის შემდგომად იმ სახლში შეიყრებოდნენ თავისის  
სახლეულით და, თუ კველის ნება იყოს, ვისიმე იქ დაპატივე-  
ბა და მიწვევა თავიანთ ნათესავისა ან სხვისა, მი(ი)წვევდნენ და  
სადილობის იქა ჰყოფდნენ და, რაც იმ დღეს იქ დაიხარჯება,  
საერთო ხარჯი უნდა იყოს წილის ბევრობით და სიმცირით,  
რაც დაიხარჯებოდეს სასმელი და საქმელი გინა სამილონის,  
გინა მგალობლისა, ანუ თამაშისა ყველა საერთო ხარჯი უნდა  
იყოს, მშებისა და მებატონისა, როგორადაც წილი აქვსთ. რო-  
გორც ლხინი ნებავდესთ და შექცევა კეთილიც, ისე შეექცე-  
ოდნენ, რომ ნიშანი გაუყრელობის არის და, რაც ერთი სახ-  
ლობისა და ერთობისა ოჯახის ხარჯი იქნება, ისიც წილობი-  
ზე უნდა გაიყოს. ბევრის წილის მქონებელში ბევრი გაიყოს  
და მცირე წილის პატრონშან მცირე უნდა დახარჯოს ისე სა-  
მართლით უნდა ექნენ.

აბ) ტთის მოწყალებით თუ რომელმანმე ძმამ საერთოს  
მყლესიებს გარდა თავთავისთვის ეყლესია აშენოს, სადიდე-  
ბელი დროისა თავისის კარისა, თუ სხვაგან სადმე, ესეც ძმე-  
ბის დაკითხებით უნდა იქნას. და ამ კეთილ საქმეს ვერც ძმები

დაუშლიან, მაგრამ, რომელიც საერთო ეკლესიები აქვსთ, იმ ეკლესიებიმ ვერას გამოიტანენ ახლის აშენებულის ეკლესიის-თვის ვერც ხატსა, ვერც ჯვარსა, ვერც შესამოსელსა, ვერც წიგნსა და ვერც სიწმილის იარაღსა. თავისის წილიდამ უნდა შეამჟოს ის თავისი ახალი აშენებული ეკლესია იმ აღმაშენებელში ძმამ. სხვის კელი არ ექნება არც ხარჯში და არც იმ ხაყდარში+თუ დასაშლელი არ იყოს, უწმილესი ნუ დაუშლის 0.

აგ) ციხებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის ტფილისის კონები, ვორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოჭორის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხებს ნარიყალის ციხეებიცა აქვს და ნარიყალები კაცით შეინახება. ამ შეის ალავს ნარიყალებში საერთოდ კაცი უნდა ეყენოსთ, რაერთიც მოუნდესთ მცველათ და სხვა ციხეები და გალავნები რომ დიდობინი არიან, ქართლში, თუ კახეთში, ისინი კაცებს კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის. ღმერთ-მან ნუ ქნას, მძღვრის მცერის შიშობა რომ იქნება დასახუზავად ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი შევა; როგორც დაწერებული არის და განწესებული ისე უნდა შევიღნენ და დაიხიზონ. თუ სახასოს დიდს გალავანსა და ციხეში დვითის მოწყვალებით ახალი ნარიყალი ააშენონ, ერთმანერთის შეკითხვით უნდა ააშენონ მეტებ და ძმებმა და, როგორც ნარიყალებში საერთო კაცის დაყენება დაგვიწერია, ახალს აშენებულს ნარიყალაშიაც საერთო კაცი უნდა დააყენონ თავთავისის წილის შეხედულობით, სამართლით და გულ-დაჯერებულობით.

აგ) რაც ამ ჩემს შეიღებს თავთავისთვის წილი აქვსთ მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში ვისაც უნდა, ანუქებენ და ვისაც უნდა, ასესხებენ და ვისაც უნდა დაპჰარიუებენ. სხვა ძმები არაფერის ვალის შეონებელი არ არიან, მაგრამ ამისთანა საქმეში ძმები რომ ერთმანერთს შეეწიენენ, დასაშლელი არ არის; მაგრამ კანონად მე დამიღვია ასე და თითონ იციან.

ე) სახასოებიდამ, სათავიდოლი და, თუ ეკლესიების დებულებაც არის რამე, რაც შემოსავალი იქნება, საქვეყნოს შენაწყის გარდახა+სამად გაიყოფილეს, ორი წილი მეფესა და მესამედი, რამდენი ძმანიც იყვნენ, იმათი. კიდევ ამავ ძმებში ესეც განიწესა, რომ, რაც და საიდამაც მეფეს ჯარიმა ერგებოდეს, იქიდაბაც მეფეს ორი წილი, მესამედი ხუთმა ძმამ გაიყონ, როგორც შემოთ დაგვიწერია იმ წესით.

ევ) ამავ ეჭვის ძმის შეიძლება რომელმაც სქესმა თავისმა მოწილემ ძმამ და იმავ სქესის სახლის კაცებმა ვიყრა მოინდომონ, დაუშალონ ყველამ, თუ არ დაიშალონ, გაიყარნენ და თავიანთში საუფროსო, საშუალო და საუმცროსოც აიღონ ისე, როგორც თავიდები ბარათგმით გაიყრებიან+და ეს იმათი გაყრილობა, რაღაც მოწული უოტა ექნებათ, ადგილად და უშფორიად შეიძლება და გაიყარნენი.

ეს) მეფეს თუ უფლის წულთ რომ უცხოს ქვეყნიდან საერთო სტუმარი მოუვიდესთ და ეწვიონენ, თუ ის სტუმარი საქვეყნოსა და ძმათ საერთოს საქმეზედ არის მოსული, იმ სტუმარს ქმები საერთოდ უნდა დახვდნენ სმით, ჟამით, საჩუქრის მიუკრით. ნახევარი ხარჯი მეფისა იყოს და ნიხევარი ხარჯი სხვა ძმებისა, მაგრამ უფროს ძმას რომ აქვს საუფროსო და საუფლისწულო ძმებზე აღებული, იმან ისე მეტი გაიღოს.

ეს) თუ ამისთანა კაცი იყოს, არამჯობინონ იმისი დახვედრა, თითონ იციან, მაგრამ მებატონე თუ ამჯობინებს, იმას დაუჯერონ იმისი ჩუქება და არ ჩუქება და თავთავის საკუთარს სტუმარს საკუთრად დაუხველებოდნენ+ყოვლისფრითი.

ეთ) როდესაც საქართველოს მეფეს თავისი შეიღები გაუყრია, ის კი კარგის აზრის მქონებელი იქნებოდა, მაგრამ იმისთანას გაყრას იმისთანა ნახაქმეებიც მოაქვს, როგორც მოხდომიათ, რომ ქართველთა და კახთ ერთმანერთში სისხლი დაუღვრიათ; ხან კიდევ ქართველთ ერთმანერთში, ხან კიდევ კახთ ბატონობისა და უუროსობისათვის ჩბლმები ჩამოვარდნიათ და ერთმანერთის სისხლი უღვრიათ და მე ამისთვის ჩემი შეიღები ესრეთ შევერთე საუკუნოთ და სე გამჟარე თავთავეთის წილით.

გ) შეილების მეცნიერებისათვის რომ ისწავლიდნენ ღრა-  
მატერიალისა, და რიტორებსა, და ფილასოფიასა, და ლოღიკისა, და  
წერილისა, რომ მწიგნობრივ დასარწმუნებელნი იყვნენ და, თუ  
ამაზე მეტს მეცნიერებაში შეელენ და ისწავლიან, ის უმჯო-  
ბესი იქნება, მაგრამ უამისობა კი არ იქნება. მე ჩემი მო-  
ვალობა კი მომისხლეობა და თითონ იციან. თავადებს ის მე-  
ცნიერება უფრო გამოადგებათ სხვისაგან + რომ ისწავლონ 0.

გა) კიდევ ეს განიწევა იმ ძმებში, რომ ამათ სახლში მო-  
წყალებითა ზევარდამოთა, როდესაც რომლისაც ძმის სახლში  
ქორწილი იყოს, მებატონებმ ძმებს უპანოს და განზრახვა  
ჰყოს, რაც იმ დანიშვნასა და ქორწილში ხარჯი დასჭირდეთ,  
ნახევარი მებატონისა უნდა იყოს და ნახევარი სხვა ძმებმა ვა-  
ღლონ და, ვისაც შეწევა სხვა ქორწილში უნდოდესთ, ის შეა-  
წიონ.

გბ) მაგრამ ყოველთვის ერთი განწესება დადვან, რომ ერ-  
თი ხარჯი იყოს ქორწილზე ვაერბისაზე, მეცნაკლებობა ნუ  
იქნება, ეგრეთვე ქალებისაზე დაქორწილება, რასაც ხარჯის  
შანოს დაზღებენ ყოველთვის, იმ ქალების ქორწილზე, იმავ  
ხარჯს დახარჯებენ, რაც განწესებული ექნებათ + ვაეისა და 0  
ქალის ქორწილის ხარჯი ერთს დროსა + და უმშედ არის მიგ-  
დებული და შეძლებაზე, რაც შეძლოთ.

გგ) ღმერთისან აშოროსთ, მაგრამ ბოლოს უამისობა არ  
იქნება: რომლისაც ძმის სახლში მწერარება შეიქნას, მებატო-  
ნებ და ძმებმა, რაც ამყოფინონ, ის ხარჯი გასწიონ. მებატო-  
ნებმ, როგორც ამჯობინოს თავთავისის წილის ხარჯით დახარ-  
ჯონ. იმ ხარჯის გამორჩევაში იმ შეწუხებულს ძმის კელი არა  
აქვს. ძმები, რასაც მოუმზადებენ და მისცემენ შესაწევარს, იმას  
უნდა დასჯერდეს და, თუ ის შეწუხებული ძმა თავისის მიცვა-  
ლებულისთვის მეტს რასმე დახარჯამს, ის თავისის წილიდამ  
უნდა დახარჯოს, ძმები კელს ვირ დიოუპერენ.

გდ) ვისი წასახურავი და შეწევნა უნდოდესთ, მებატონებმ  
და ძმებმა თავისით წილის მხვავსად შეწევნა მისცენ. რომელ-

სამე ძმას, თუ შეტი შეწევნა უნდოდეს, თავისის წილიდამ შე-  
აწიოს იმ შეწუხებულს+ვინც იქნება 0.

კე) ქალი რომ გაათხოვონ, იმ ქალის მამა და დედამა, რაც შეეძლოთ, მშითევი შისკრინ და შეფერ და სხვა ძმებში უნ-  
და შეაწიონ მართებულით თავთვეის წილის მეტობით და მცი-  
რობით და მშითეის ყულულით და მოახლე თავისის წილის მა-  
მულიდამ უნდა გაატანონ მამამ და დედამ და ძმებში. სახა-  
სოსთან საქმე არა აქვსთ. სახასოსთან არც მეფესა აქვს კელი.  
მოახლის გამორჩმევაში, თუ გამოართვას, თავის საკუთარი  
წილს უნდა გამოართვას.

ჭე) ამ ძმებთა და მამოვან შოამოსრულთა შეიღოთა სასა-  
ფლაოები გაყოფილი არა აქვსთ ყოველვან. საცა აქვსთ საბა-  
რონ მონასტრები და ეკლესიები ეგრეთე საუფლისწულოე-  
ბში ან უსაუფროსოსში მონასტრები და ეკლესიები, ერთმანერთს  
ნუ დაუკერძნ, სადაც უნდოდეს თავისი მიცვალებული, იქ მი-  
იღონ. ნურც მებატონე დაუკერძნ და ნურც უფლისწულები,  
შეგრამ გვამსა და ალაგზე ჰქიდია. მებატონემ და ძმებმა გაა-  
რიგონ უწმიდესის შეეკითხვით და ერთმანერთის ნებით, რომე-  
ლიც გვამი უფრო უპატიოსნები იყოს, უფრო პატიოსანს აღავს  
უნდა მიღონ და, რომელიც საშუალია იმისთანას აღავს უნ-  
და და უმცროსისაც კიდევ იმისთანას აღავს და სააღაპოს ნუ-  
რას გზით ნუ თიღებენ, რომ მე დამიკუნებია+ზემოთ რომ უფ-  
როსი, საშუალი და უმცროსი მიხსენებია, ასაკისათვის დაგვი-  
წერია, სხვას ნურას იფიქრებთ 0.

ჭე) ნურც მებატონე, ნურც უფლისწული უერთმანერ-  
თოდ კაცს ნუ გააზარებენ ნურც სახსოს, ნურც საუფრო-  
სოს, ნურც+საუფლისწულოს 0. ამისთვის რომ გაყრილი არ  
არიან და ერთი სახლობა აქვსთ.

ჭე) სახსო კაცს უფლისწულები და ძმები და სახლის-კა-  
ცები ნუ დაარბევენ უბატონოთ, ამისთვის რომ ერთი სახლო-  
ბა აქვსთ და ერთი არიან, საუფროსოსა+და საუფლისწუ-  
ლოსი 0. თითონ იკიან თავისის ყმისა, მაგრამ, თუ უსამართლოთ  
ირბეოდეს, მებატონე და ძმებში რომ დაუშალონ, მართებული

იქნება და იმანაც დაუკუროს და ხახლისკაცებს ხათნა ეყოს, უჯობესი იქნება და თავისი ნებაა, თუ არა იქს, + მაგრამ, თუ არ დაიშალა, ცოდვაში ჩავარდება0.

კო) თუ რომელმაც ძმებში ერთმანერთში ძალა მოინდო-  
მონ და მყორეს როგორმე ძალი დაემართოს წილსა და პატი-  
ვში, ჯერ ძმები მშეიღობას ეცადნენ, გაარიგონ მათი საქმე,  
განწმინდონ, თუ არ იქნას, სამღედელოუთი და სარდლებით  
ეცადნენ და გაარიგონ და განწმინდონ. თუ არც იმითი დას-  
ტრენ, რაც სახასო ყმანი არიან ჩეკნი+ქალაქი0 მოისა, თუ  
ძარისა, ისინიც მოიხმარონ, ძალა და ნება ორიც იხსარონ და  
გაურიგებდეს ნუ გაუშებენ, ძალით გაარიგონ.

ღა) რომელსაც ძმას თავის წილათ ხდომილს მამულში ან  
ბალი არა იქს, ან ვერახი, ან წისქვილი, ახლათ თავისთვის გა-  
იყეოს, შეგრამ რომელსამე უფრო აქს და რომელსამე კო-  
ტა, მაგრამ ნუ გამოეყიდებიან ერთმანერთს და ნაკლებიან ახ-  
ლა გაიყეოს და მებატონებ სახასოდან ნახევარზე მუშა უშ-  
ვილოს, რაც მუშობა მოუნდეს იმ პირველს გაკეთებაში, ნა-  
ხევარი ხომ იმისმა მებატონებ უნდა იმუშოს, რომლისაც  
მამული არის და ნახევარი მებატონებ; პირველზე მუშა მო-  
ხმაროს და შეს უყან აღარ უნდა მოიხმაროს, თითონ უნდა  
გააკეთოს + რომელსაც ძმას მამული გაკეთებული დახვედრია,  
იმ ახალ-მუშენეს ძმას პირველზე გაკეთებაში სახასოსავით შე-  
ძლებით ისიც მოეხმაროს0.

ღა) ნუმც იქნება ესე, რომელიმე სახლის კაცი უშვილო  
იყოს, იმისი კერძი ყმა და მამული სხვას სახასოს მზეავსად უნ-  
და დაიდგას: შემოსხვევალი ორი წილი ჰატ(რ)ონისა იქნება, მესა-  
მედი სახლის კაცებისა + თუ იმ კერძიდამ და მამულიდამ მე-  
ფესა და უფლის წულებს საქმეშ შეახვედროს, იმ შემულიდამ  
ცოტ-ცოტა ბევრობით გაცემა მოინდომონ, ნება აქსო; თუ  
გამორითმევა იქნება, გაცემაც უნდა იყოს0.

ღბ) რომლისაც ძმის რიგზე იყოს იმისთანა, რომ კერ-  
ჭარმართებდეს მეფებისა, თუ იმავ რიგში შემდგომი შეიღი ან  
შეიღიშვილი იყოს, რამ შეეძლოს და არა სცირდეს-რა ნა-

კლულევანება და არ იყოს სწეული, იმან მიიღოს და დაადგინონ მეფედ; თუ იმავ სქესში არც ერთი არ იპოვდოდეს, იმის შემდგომს ძმის სქესში და[ა]ლგინონ მეფედ და, თუ ამაზედ სამხოოსა და საერთოსა ერთა შინა შერევნა შეიქნას საქართველოში და სხვასა და სხვას ორჩევდენ, ნუ იყოფინ თუ არ ისე, როგორც დამიწერია და როგორც გამირჩევია. თუ იმის სქესში არ იპოვდოდეს, იმის შემდგომში სქესმა შინობს შემოწერალისამებრ. ამას გარდა საქართველოების დიდნი და მცირენი, თუ რომლისამე საქოთ გაერივნენ და შეშალონ რიგი, მეორედ მოსელას უფალსა ჩემის ცოდეის ჰასუხი იმან მისცეს და ნურა კეთილი დაემართოს ლეთისაგან იმ გვამს, რომელიც მიზეზი შეიქნას; თუნდა სხვანი დიდად სჯობლნენ, მაშინც შემოთ დამიწერია, ისე უნდა ალასრულონ და ის დასვან მეფედ, რომლისაც რიგი იყოს.

(გ) კვალად გავაშეორებ ამ ჩემის შეიღების განწესებისას, რომ ჩენის ქვეყნის სამართლის კურ წაუვალთ, როგორც სამართლები არის გაყრისა და გაუყრელობისა შეწევნითა ლეთისათა არც ერთი არ დამიგდია, ყველა აღმოჩენით არის დაწერილი თავთავისის საკუთარის წილებისაც და საერთოს წილებისაც და, თუ ეს ისე არ გამერიგებინა, როგორც სხვას თავადებთ მამანი და ძმანი გაყრილია, მაგრამ დღესაც კიდევ ლაპარაკი და შეოთი აქვთ და ბევრს კიდევ ერთმანერთის სისხლი დაულირიათ, ამისთვის რომ მებატონებს და მისამართლებს ამდროს მიზეზით და ან გაურჯელობით რიგიანად და კარგის დაწუობით ვერ გაუყრიათ და, რომელიც კიდევ გაუყრელი უაფილა ურიგოდ და უწესოდ და ერთმანერთის სისხლი უდერიათ; ზოგთ შერის და სახლის კაცის შეფიცხა და სიმბულვარეში შემთხვევია სიკედილი და ისე გარდაუვლიათ ეს სოფელი და ამისთანა სიბოროტეში დახოცილან და მე ამ ფიქრებისათვის ისე განვაწესე, როგორც დამიწერია.

(დ) აბა, ვთქვაო, როგორ უნდა მეტო ან საუფრისო, ან საუფლისწულო, თუ ამ ქვეყანაში ქალაქში, ქისიუში, თუ-შეთში, ქანასა, არაგვსა და ლიახვში, პირაქეთ და პირიქით

ოსებში, ხევსურეთში, ყაზახში, ბორჩალოში, შამშალილში და კიდევ სხვას თათრებში, ეს შეუძლებელი იყო, ამისთვის რომ ესენი ასე არც გაიყოფადენ, არც შეიძლებოდა და მრავალი ხანიც გამოვიდოდა და, რომ კიდეც შევეძლებოდა, მასუკან კომლეულადაც უნდა გამარათულიყო. უამისობა აღარ იქნებოდა და სანამდის ეს იქნებოდა, ევგანის ხმალიც გაშაშვლდებოდა, სისხლიც დაიღვრებოდა და არცავის გამართვა შეეძლებოდა და ამ სიღილე ქვეყანაში არც მომხდარა. ამა, მითხარ გონიერო ჩემთ, როგორ სისწორით დაგვეთვალია, არის გზით არ იქნებოდა და ახლა, როგორც საერთოდ დაგვიღვია ეს ხევნებული ქართველი, სომები, თათარი ქართლისა და კახეთისა ქვეყნებში და სხვანი ქვემოხსენებული, ესენი ყველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს ვარდა საზოგადო ყმანი არიან და მებატონე მეფე არის ამათი მშრალებელი და მოქმედი და, რაც სახისოს შემოსავალი იქნება, თუ იმ შემოსავლილამ შეწირულობა რამ იქნება, და ან რასაც მოხელენი იოლებენ, და ან იქიდამ ჯამავირის განწესება ექნება ვისმე სახისოს შემოსავლიდამ, ჯერ ესეები უნდა გარდაიღვიას და, რაც დარჩეს, სამათ გაიყოს; არი წილი მეფეს და მესამედი უფლისწულო.

დგ) ტფილისი, გორი, ქისიყი, თუშეთი, ფშვეი, ხევსურეთი, არაგვი, ქანი, ლიახვი, ქართლისა და კახეთის თათარი, ბორჩალ-ყაზახი, ბაიდარ-შამშალილი, შამქორი და, რაც ოსები გვყავს, ამათში, როგორც შეით დაგვიწერია, არც საუფროსო შეიძლებოდა და არც საუფლისწულო დადგებოდა ვინმე და არც გამოერჩეოდნენ და გაეყრებოდნენ ერთმანერთსა, ამისთვის ამაში არა მოხერხდებოდა-რა და, რაც ამ შემოს წერილის წილების მაგიერები გამირნია და გამირიგებია და მიმიცა ჩემის შეიღებისათვის თავთვეისი წილი და ეს რომელიც ქალაქებისა და ბარისა და მთისა სახისოებისა დამიწერია, რომელიც სამეცნიდ დადგებული არის, ხომ ის არის; ეგრეთვე სადელოფლო და, რომელიც საუფროსოდ და საუფლისწულოდ აღმოჩენილი არის, ხომ ის არის და, რომელიც ჩემგან ახლა საკუთარის წერილები გარიგებული არის, იმ გარიგებას დამი-

ჯერებია და უნდა დასჯურულნენ და, რომელიც მიუქმული არ არის, ის სხმეფი არის, და იმ გაუცემელმა სახასომ, თათარში, თუ სომებში, თუ კართველმა მებატონებს მსახუროს და, რაც იმპატან გამოიდეს, სამათ გაიყოს; რარი წილი მებატონებს და შესამედი უულისწულთ, რომელიც ჩემგან მიუქმული არა აქვთ ჩემს შვილებს, ჩემგან მიუცემელი ყმა და მამული სახასო არის; თუ თითონ სხვა ქვეყნიდამ მოუკვანიათ და გარჯილან, ის იმა-თი იქნება და სხვის ძმებს ეყლი არ ექნებათ.

(დ) სახასო და საუფლისწულო კაცი რომ გაქცეული იყოს, ეცალნენ, რომ საერთოდ მოიყვანონ, ასე სჯობს, თუ ის კაცი სხვათ კი არ ენებოსთ და არ მოვიდეს საერთოდ, და ის ერთი სხელის კაცი მოინდომოს საბატონისმით, თუ ქვეყანას და სარ-წმუნოებს უჯობდეს, მოიყვანოს იმან, რომლისაც ბატონიშობა მოინდომოს, და მოვიდეს იმასთან და ეყმოს და, თუ იმ კაცს არ შეეძლოს-რა არც ქვეყნის შემატება და არც დაკლება, თუ ქრისტიანი არ იყოს, ნუ მოიყვანენ.

(დ\*) რომელმაც ჩემა შვილი, ან შვილიშვილმა, ან ჩე-მა შოასრულმა ნათესავება ერთმა, შეორებმ, ღმერთმა ნუ ქნას, თუ მოკლის თავისის კელით ან სხვის მოაყვლევინოს რითაც-ტრით და ან მოწამლით, ან დაშვებით, ან კუდიანები რომ იქნებიან და თავიანთ ეშვების შემოღებულის წაბლით, რო-გორადაც ძელოთაგან კერპშახურთაგან ყოფილი ჩვეულება, რომ კაცს წა[ა]ზდენენ, იმისთანას საჭმით მოუხერხონ რამე, და ან მოკ-ლინ, და ან წა[ა]ზდინონ და და[ა]შაონ თავიანთ ნებით და ან სხვის ნების მიცემით, და იმ ჩემის შოაშოსულის გვარისაგან, რომელიც ზემო დაწერილის ბრალების მოქმედი იყოს, იმასაც და იმის ამყოლსაც შერისხდეს ერთი ღმერთი სამგეომოვანი, წილია სამება, მამა, ძე და სული წმიდა, და იყოს შეჩ[ვ]ენებული და დასჯილი იქაცა და შეჩესაცა საუკუნესა, და ნუ მისცეს მის ნაყოფი თავის თავის გამოსადევი და ყოველივე, რომელიცა იმის ნება არ იყოს, ის დამართოს ყოვლად ძლიერმან ღმერთ-მან და, თუ შე დამიჯვერებენ, ქვეყანამ ერთხმიბით გა[ა]გდონ იმ ქვეყნიდამ შეჩენებული საუკუნოდ. იმ ბოროტის მოქმედის

სხვაგან გაგდებას ესე სჯობს, თუ მოკლამთ, თქვენ იცით, ღმერთმან უკოდი გამყოფისთ და, თუ არ მოკლამთ, ისიც თქვენ იცით, მაგრამ ასე კი უნდა წა[ი]ხდინოთ, რომ გაგდებული და სხვაგან მოვიდეს ვისთანშე, გამოსაყენებელი აღარა იყოს-რა არც თავისთვისა და არც სხვისათვისა და, თუ იმას შვილი დარჩეს დაერ და კეთილ შრომაში იყოს, იმას თავისი შაბას წილი არ დაეყარგოს, და ბატონობა კი აღარ ერგება იმის შთამომავლობას+და არც სახასოს შემოსავალის წილი და ნურცა მისცემთ, ასევე კარგი იყოს. ამაგებს სულ ჩემის შვილებისათვის და შვილის შვილებისათვის და ქვეყნის სისხლის უდინლობისათვის ვწერ, ჩემს თავს ვიფუცავ, სხვის არაეის, ზევითაც ბერკელ დამიწერია+და იმ დამნაშვერეს კაცის შვილს, თუ შემცნიოთ, რომ ორგულობისა და სიბოროტეში შესული იყოს და მეფისა და ქვეყნისა საზიანოში, როგორის საქმე ღირდეს სისხლით მეფემაც და სახლის კაცებმაც და ქვეყანამაც ასე გარდაახდევნეთ, რომ სხვაგან ვათრება არ შეიძლოს.

(ღმ) რომელმაც ჩემა შვილმა, ანუ შვილიშვილმა, ან ჩემა შთამოსრულმა ნათესავმა ეს ჩემი წერილი არ დაიჯეროს და სხვა საჩრდინოების შემსრულებელს კაცს მოკედლოს და წინააღმდეგად გამოწინდეს და იმ საქმით თავის სახლის არეულობისა და სისხლის დასკრის მიშეზი შეიქნას, შერისხდეს მამა, ძე და სული წმიდა ღმერთი და, როგორც მის შეკლელისა და სახლის კაცის მკვლელისა დაგვიწერია, ესეც ისე უნდა იქმნას, იმ წესიდ დასაჯონ. თუ ასეთი მომშეკლებელი არ ჰყავნდეს და მორიება შეიძლონ, როგორც დამიწერია, სწორეთ ისე დამართონ.

(ღმ)+მეფებამ პირებულად უფროს ძმის, მეორეთ მეორეს, მესამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მეხუთედ მეხუთეს, მე[ე]ჭვისედ მე[ე]ჭვისეს და მასუკან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს პირებულის ძმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მე[ე]ჭვისეს ძმადის, ყველამ ძმის შთამომავლობამ ასე უნდა ჩაიჩივონ+მეფებამ და, თუ ის ერთი ჩამომავლობისა არ ვარგოდეს ან სნეულობითა, ან სხვა რიგად შეუძლებელი იყოს, თუ იმასვე სახლის-

კაცი ჰყვანდეს თავის წილში, იმას დაანებონ ქვეყნის დამ-  
ტულებით და, თუ არა ჰყვანდეს თვისი უმცროსი ძმა და  
ნათეხევი იმ [მე]ორებს სქეს[ს] იმის უძვემოებს მისცენ და ის  
შეფობდეს, სანამდის იცობლებდეს, და კიდევ, თუ გაუჩნდეს  
რამე ბოლოს და გაეზარდოს იმ დაწუნებულს თავის კერძა  
ოჯახში, ის გამოეფონ. მასუკან იმ დაწუნებულის მაგიერად  
რომ იჯდა მეფედ იმის სქეს აღარ ერგება მეფობა, რადგან  
იმ დაწუნებულის მაგიერად იჯდა მეფედ; სხვას სქესს უნდა  
მისცენ, იმას უკან, რომელიც იჯდა მეფედ, იმ სქესს, შემდგო-  
მად, რომელსაც ერგება რიგით, იმან მიიღოს მეფობა და  
ქავენის სამართლით და განსჯით და ძმების შემწეობით მიეცეს,  
და როგორც დამიწერია, კიდევ ისე ქმნან. თუ უნდეს სახლ-  
ში ხეირიანი, რომ აფი არ იყოს და სათავილო ქვეყნისა, იმ  
დაწუნებულის კერძა სახლსა შინა ნურის დროს რიგს ნუ  
მოუშლიან. ისევ იმ ზემო წერილისაებრ გაარიგონ, რიგს ნუ  
მოუშლიან. ჩემის ცოდვითამც განიკითხეს, თუ ეს მოშალოს  
ვინმე, ღმერთმან ის მოშალოს ყოვლის კეთილისაგან.

მ) რომელმაც ჩემა შვილებმა და შვილიშვილებმა მეფო-  
ბა მიიღოს თავიანთ რიგზე ღვთისა და კაცის სამართლით სულ,  
როგორც ყოველს ქრისტიანობაში არის განწესებული, უნდა  
რომ ერდგულებაზე შემტიცონ ყოველმა თავისმა საბატონოშ  
უწმიდესმაც და უფლისწულთაც, უნდა დაიჭიცონ ყოველთა სამ-  
ღვდელოთა და ყოველთა თავადთა და აზნაურთა და გლეხთა, მაგ-  
რამ ფიცი ეს უნდა ჩიტანონ, რომელიც შენს მამას ერკე-  
ლეს და შენს პაპას ერკელეს შენის ოჯახის, შენის ძმებისა და  
სახლისა, ეკლესიისა და ან თავადთა, ან აზნაურთა და ან მო-  
ხელეთა და ან სხვას გლეხის კაცისა მთისა, თუ ბარისა, შენის  
ოჯახისათვის ის რიგი და განწესება, რომელიც დაუწერია, თუ  
იმისი დამჯერებელ და იმაზედ დამდგრან და მოქმედი იქნები,  
სრული შენი, როგორც მართებული არის, და კეშარიტი ერ-  
დებულიც ვიყო და, რაც შემძლიან, კიდეც შენის ოჯახისა  
და შენის ორგულისა და მტრისაც მტერი ვიყო და მოყვრი-  
საც მოყვარე, და შენის ერდგულისაც ერდგული ვიყო და ჩე-

მის შეძლებით კიდევაც ვეციდო, რომ მოვალეობისაებრ ჩემისა გემისახურო და ორც თავგული დაფმალო და, თუ შენ მამის შენისა და პაპის შენისა იმ განწესების განაჩენზედ ორც დაზღვე და წინააღმდევებად გამოჩნდე, როგორც მაში განმინება გვიწერია, როგორც ქართლისა, კახეთისა უფლის-წულნი და უწმინდესნი და თავალნი და ყოვლად სამღვდელონი და სხვანი ერნი იქნებიან და იმოქმედებენ, შეც იმათთან იმხანავი და მოქმედი ვიყო ჩემის შეძლებით, და, თუ არ დადგნენ ამ კანონნებზედ ჩემნი შეთასრულნი შეიღიაშეიღიანი, ნურც მშები დაანებებთ თავსა და ნურც სამღვდელონი და ნურც ერნი, და ესევ განწესება აყაბულებინეთ.

მა) და, როდესაც მეცედ დაჯდებოდ[ე]ს და ბატონობას მიიღებდეს კურთხევით, თუ უკურთხებლად, ეს ჩემნი შეიღია და შეთასრულნი ნათესაობანი ჩემნი, მაინც უნდა შექვეცონ ყოველმან კაცმა, როგორც ზემოთ დამიწერია, და თვით იმ მეფებმაც უნდა შექვეცოს თავის სახლის კაცებს და სამღვდელოთ თავადთ აზნაურთა და ვლეხთ ყოველთა, როგორც შეძლოსთ და, როდენ შეძლოს, შეიყვაროს და უსამართლობით არ მოეცეს და სიყვარულით მოეცეს, ყველის სწყალობდეს და, ვინც დამნაშავე იყოს, იმაზედ შეძლებით გაშინჯოს და ქნას სამართალი და იქნებაც შეწყალებაც ზოგში მოხდეს; და ეს თავიანთზედ არის მიეთღილი, სად და რომელზედ იქნება მისაღებელ, რაც იქნება და, სად შეწყალება იქნება, თვით ყოვლად ძლიერმან ღმერთმან მისცეს თვითიდ სათნოდ მოქმედება.

მბ) მებატონებმ, ვინც ქართველნი და კანი არიან სამღვდელონი და თავალნი, და აზნაურნი, და გლეხნი, თუ ჩემი შემაშეიღობა გწამსთ, ისინი შეიყვარეთ, როგორც მამამან ტკბილმან და მოწყალემან, როგორც პატივის ღირსნი იყვნენ, შეძლებით, ნუ მოაკლებთ პატივისა და სიყვარულს, თუ ორგულება სარწმუნოებისა თვითს ქვეყნისა და მეფის თვითისა არ შეამცნოთ, ნუ შეიძეზლებთ და, ვინც დააშოთს რამე თავის რიგზე, სამართლით რაც ღირდეს, უნდა მიაგოთ, თვარემ ქვეყნის წახ-

დღნა იმას შეუძლიან და კიდევ, ვინც სარწმუნოებას და მებატონობის ერდგულობაზე იღებს, რაოდენ შეიძლებოდეს, ნუ-  
გეში და წყალობა ნუ მთავლდების მებატონისაგან და, რომე-  
ლიც არ შეეძლოს მებატონებს, ეს დასანდურებელი არ არის  
და ნურც ის დაენდურება. ეს კიდევ სხეს შევისოვისთანაც დამი-  
წერია—რომელიც ქვეყანაზედ თუ მარტო მეფეზედ, თუ ერთს  
კაცზე ასეთი დამნაშავე იყოს, ის კაცი რომ არ დაეთმობო-  
დეს, ნუ დაუთმობენ; როგორც გადაანდეინებენ, თითონ იყოან  
მეფებ და მოსამართლები.

მგ) მათაც ისე მართებსთ თავისის მებატონისა და ჩამო-  
ნავლობისა, როგორც წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოცი-  
ქულნი და საღიღებელნი სამღოთო კაცნი და სოფლის განმა-  
ნათლებელნი ბრძანებენ თავის მებატონის პატივსა და ერთ-  
გულებასა, და ევრეთვე მებატონისაგან იმათს სიკუარულსა და  
შეჯარისა. ეს წმიდათ მოციქულთ სიტყვა ორისაც კერძოს დიდად  
და] საჯერებელი და მტკიცედ დასაცველია და მეც ასე კანო-  
ნად უდებ, და შენახვა და დაცვა იმათი ვალი არის.

მდ) ჩემი შეიღები და შეიღი შეიღები რომ ასე გამოშვე-  
ლებია, რომ რაც საუფროსო საუფლისწულო მიმიცია, იმაში  
ერთმანერთთან ხაჭმე იღია აქვთ რა, ანაში ერთმანერთს აზ-  
ცარის წილს შემოსავალში მისცემენ და ვერცავის იახლებენ,  
თუ არ თავისი წილისა და ყმისაგან კიდე-გაყრით მითო გამო-  
ყრია, რომ შეოთის შიზეზი სულ დამისნია საუფლისწულოსა,  
საუფროსოსა და სხვა, რომელიც ქალაქი, თუ მთა არის, ანუ  
ბარი სამეფო, იმ სამეფოში კი უნდა, როგორც ამაში განწე-  
სება არის თავადებისა, აზნაურისა და გლეხისა, ისე იმსახუ-  
რონ + და იახლონ, როგორათაც და საიდამაც თავთავისი წილი  
გამიკეთებია იქიდაში.

მე) საქართველოებში მეფედ სახლებშიაც და თავადების  
სახლებშიაც ასე ყოფილა, რომელიც და რამდონიც ძმანიც  
ყოფილიან, ხან ერთის ძმის სახლში ყოფილა უფრისობა და  
ბატონობა, ხან მეფორში და, რამდენიც ძმანი ყოფილიან, ისე  
რიგით ყოფილიან, რომელიც გაუყრელნი ყოფილიან, როგორა-

დაც ჩემს მამეულით და დედეულთში ყოფილიან და იყვნენ, რომელიც მრავალთ იხსოვსთ ეს საქმე და საქართველოს მოთხოვნის წიგნებშიაც გვიწერია, და თვით მეც მახსოვს ჩემს ღრმებში ჩემი მამეული და დედეული როგორც იყვნენ, და ბატონობლენენ, და მეფობლენენ, და გაუყრელნიც იყვნენ. ხან ერთმა ძმამ მიიღის მეფობა და უფროსობა და ხან მეორემ და ეგრეთვე, რომელნიც პირველნი თავადნი იყვნენ და ორიან და კიდევ მათგანაც უმცირესნი ორიან, იმათ სახლებშიაც ჩვეულება და რიგია, რომ რამდენიც უნდა ძმანი იყვნენ, ხან ერთი იქნება უფროსი და ბატონი თავის ოჯახისა და ყმისა და ხან მეორე, და ხან მესამე ძმა, სანამდის გაიყრებიან, ეს ორის რიგი და წესი, თვარემ, თუ საკ არ იყოს და სულ ერთის ძმის სახლში იყოს უფროსობა და ბატონობა, გინა მეფობა, ის სხვანი მას უკან იმის ყმანი შეიქნებიან, ტე ეს დიდი უსამართლობა ორის. თვით თუნდა პირმშო იყოს, თუნდა შემდგომი, თუნდა კიდევ შემდგომი, კველანი თავის წილს დაჯერებულნი უნდა იყვნენ, და მე ჩემის შეილებისა თავთავისის წილების მიცემა და გაჩიჩევა გაუყრელობისა და შეყრის ნიშნები ამ მიზეზებისთვის გავაძინე, რომ არ აირიცნენ და არ გაიყარნენ, რომ გაყრით არ წაიკიდნენ და სისხლი არ ჩამოუარდესთ, და ქვეყანა ერთმანერთს არ შეახოცონ, და კიდევ მეორე მიზეზი გაყრით ბატონობა, მეფობა და თავადობა არ დამდაბლდეს და არ დასუსტდეს, და ამ სახლშიაც მების შთამომავლობა ერთის ძმისა მეორე ძმის ყმად არ გახდეს და არ გაგლახაკდეს, და მე ეს წესდებულება კიდევ ამისთვის დავდევ, რომლისათვის კიდევ სხვას მუხლებშიაც დამწერია ისიც მიზეზები.

მე) რადგანც ეს განჩინების წერილი მხოლოდ ჩემის შვილებისათვის და შთასრულთა ნათესავთა ჩემთათვის დაიწერა ამათის ერთობისა და გაუყრელობისათვის და თავთავისის წილის გარჩევისათვის, რომ ამ ჩემ შეილთა და შთასრულთა ჩემთა ნათესავთა უშესოთველობისათვის, რომ სხვ[ა] აზრი არ ყოფილია, რაც რამ ამ აზრებმა აზრი არ მოითხოვა, იმას გარდა სხვა რამ რიგები და ან აზრები რამ არც ამ ჩემი შეილებისა და

არც საქვეყნო არა შემომიტანია რა და, რომელიც შემოვიტანება და დაფუძნება, ისინი კი ეჭირებოდა ამ განწევებაზეს, და უამისობა არ იქნებოდა და იმიტომ დაფუძნება, თვარებმ სხვაც მჩავალი გამოსაყენებელი არის ჩევნი და ჩვენის ქვეყნისა და იმისი დაწერა და განწევება, რომელსაც მეფეებს ღმერთშინ შეაძლებონს და ან ნება ლვოისა იყოს, იმას განაჩენინოს და და[ა]წერინოს.

**მ9)** ბეითალმანი თავადისა და აზნაურისა მამულისათვის, თუ როგორ უნდა ქნან ძმებმა, ეს უნდა, რომ პირველად სახისოდ დაიდგას, როგორც საქართველოებში რიგი არის და მასუკან, ბატონმა და ძმებმა, თუ ამჯობინონ გაცემა, გასცეს მებატონებმ, და თუ იქიდამ ფეშქაში შემოვიდეს რამე, ორი წილი მეფეს და ერთი ძმებს და, თუ იმ მამულზე ქერივი და ობოლი ქალი დარჩეს, ქერივმა რაც იმ მამულს შეძლება ჰქონდეს, თავისი სარჩო მართებულად სამართლით უნდა მიიღოს მებატონისაგან, როგორც მამის ჩემისაგან განწევებულია და ჩემებან საქართველოს სამართალში, ობოლსაცა და ქერივსაც, ისე უნდა არისინონ იმ წესით, როგორც არის განწევებული. თავადისა და აზნაურშვალისა სხვა რიგად არის და გლეხისა სხვა რიგად არის.

**მ10)** ეგრეთვე თაეგიანთ საკუთარი ყმა, რომ მოინდომონ, ისიც ერთმანეროსა ჰქითხონ, ისე გააზატონ + თაეგიანთ სამსახურში და საქვეყნოს გამოსალებში კი ვერ გააზატებენ0. ეგრეთვე მამულის მიცემაშიაც კიდევ უმტკიცებ სამეფოსაც და სათავისთაოსაც ყმასა და მამულს ნუ გასცემენ უერთმანერობა. მიში უფრო სიყვარული დამტკიცება და უერთმანერობა გაცემა არ იქნება; თუ ერთხაც არის ძმას არ უნდოდეს, ნუ გასცემენ, თორებმ ჩხუბი მოაქეს ამისთანას უთანებობას. თუ ძველის სამჯობინარი საქმე იქნება და მეფე მოინდომებს და ცოდვა არ იყოს, სხვამ ძმამაც მოინდომოს, მეფემ უბოძოს, რადგან სამჯობინარია.

**მ11)** მებატონებმ უფლისშულს რაც სამსახური საქვეყნო თავის ძმას და სახლის კაცს უბძანოს, უნდა, რომ ვითარცა

მეფისა და თავის პატონს, ეგრე დაუჯეროს სიმართლით და ერდგულებით თავისის პირობისა და ფიცისაებრ.

6) თუ ვინმე დიღი მძლავრი აღდგეს და საქართველოსა და კახetiს სამეფოებზე ქართველზე, სომებზე და თათარზე მცირობით მოყიდეს, დაიკიროს და დაიმორჩილოს, იმასთან, თუ შეიძლონ, ამ თავისით რიგის მოუშლელობას ეცადნენ დახარჯვით და სამახურით, ეგების იმისი გული მოიმადლიერონ და იმანაც ეს წერილი დაამტკიცოს, ან თავისგანი სხვა იმისი დასამტკიცებელი წიგნი მოსცეს; თუ არ იქნას, თქვენ კი ამ წიგნის დამრღვევი ნუ შეიქნებით, მიწები რომ ლმერთმან არ მოიკიახოს და მძლავრი, რასაც თავადა იქს, ლონე თუ იყოს და არ აქნეებით, დიალ კარგი იქნება; თუ ლონე არ გვენებათ, რაც თორონ ენდომება, იმასა იქს და, თუ წინააღმდევე შეიძლოთ, ის თქვენ იყოთ.

7) რაც საერთო ყმიდამ, რომელიც სამეფო არიან ქრისტიანენი, თუ თათრები, ამთავ შემოსავლიდამაც და ბავებიდამაც და ნაქურდალიდამაც, თუ სათავისთავოს ყმიდამ ნაქურდალი და ნა[ა]ვკაცარი შემოუვიდეს ჯარიში (ჯარი?) შებატონეს, სამათ უნდა ვიყოს: ორი წილი შებატონეს და შესამედი მმებს, სამეფოსიც, საუფროსოსი—და საუფლისწულოებისაზ ბავებიც სამათ ვიყოუვიდეს,—ორი წილი შეფეს და შესამედი უფლისწულთ.

8) საიდამაც ყმიდამ რაც რამ შემოვიდეს და, თუ ძველადგანვე მეფეთაგან ეკლესიის შეწირულია, ნურავინ იყადრებს იმის მოშლას, რომ ანანია და სამეტია უნდა მოიგონონ და დააყენონ ის საშიშარი და უგზო ანგარება და, თუ რომელსამე ეკლესიის იშაში შეწირულობა არა ჰქონდეს რა, იმისმა ყმამ რომ დაავითს რამე, გარდაახლევინოს მეფემ და მასუკან მებატონემ და უფლისწულებიან იციან, თუნდა მიართმევდნენ, ნება იმავი არის, უსამართლო ნურაოდეს ნუ იყოს და ნურც იქმონენ, სათვალოსი თუ რამ არის და ან რაც შემოსავილი იქნებოდეს საქვეუნოს გარდა, ისიც სამაც ვიყოუვიდეს: ორი წილი შეფესა, შესამედი უფლისწულთ.

ნე) თავიდები რომ არის საქართველოებში სამეცო, სადეკოფლო, საუფლისწულო, ეს მე ღამიყენებია, ურიგო საქმე არის და, რასაც ამისათვის მე დავსწერ, ეს უმჯობესი არის, ასე სკანით, რომ ეს თავიდები სულ სამეცო არის და მეცემნახევარი იახლოს და, რაც უფროსი უნდოდეს სახლიდამ და ან რამდენიც უმცროსი უნდოდეს, იახლოს იმავ სამეცოს ნახევრიდამ; დედოფალმაც იქიდამ, რამდენიც ეპრიანებოდეს, იახლოს და იმისი ნახევრიდამ სახლის კაცებმაც თავიანთ ნახევრის წილიდამ, რაც ეპრიანებოდესთ, იახლონ და, რაც თავიდები არიან, ევების იმდენს ხლება, რომელსაც ერგება თავის წილში, რომ ცოტას ხლება უნდოდეს, ცოტა იახლოს თავისის წილიდამ, ეს არა იქნებარა, მაგრამ, რაც თავის წილიდამ მეტი დარჩეს უხლებელი, თუ ნებავდეს, სხვას სახლის კაცს აახლოს, თუ არ ნებავდეს, თავისთვის იყოს ის თავიდო + სულ ყველას ხლება არც კი შეიძლება არც მეტისაგან, დედოფლისაგან და არც უფლისწულებისაგან, და არც იმ თავიდებს უჯობსთ, რაც რომ შეიძლონ, ის იახლონ.

ღღ) ეგრეთვე ტფილისის სამეცოს ყმისა გამოსაღები, თუ მსახურების ხლება ამავ რიგითვე დავვიღეთ და განვითარებია, მაგრამ ტფილისის ქალაქში ბევრის მსახურის გამოყვანა არ იქნება, ევების ათი ან თხუთმეტი, ისინიც, ვინც აზატობენ, ისინი უნდა იყვნენ; სხვას მეტს ნუ შემოიყენენ, მიტომ ხარჯისაც დასაკლისად და თითონ იმისი ოჯახი აე წვეულებასა და დიდებულობასა დაწევეთა, და თავის ალებ-მიცემაზე აღარ იქნება, და წახდება და არ უჯობს იმ საბრალოს.

წე) რომელიც საქვეყნო და მტრისა, თუ მეზობლის ხარჯი იქნებოდეს, ყველას უნდა შესწერდეს, სამეცოსაც, საუფლისწულოსაც, საუფროსოსაც, სადედოფლოსაც, საეკულესიოსაც, სათავიდოსაც და სააზნაუროსაც; და იქნება, რომ ვაჭარსა და მოხელე კაცსაც ჰყვანდეს ყმა, ის ყმებიც უნდა საქვეყნო გამოსაღებში გაჩიონ. თუ საერთოდ ქვეყნის ხიზანი გარიონ, ის ვაჭრის და ან გლეხის კაციც უნდა ვარიონ, და იმისი ბატონიც იმ საქვეყნოს ხარჯს ვერ გაეძებდა

და სხვა, რაც თავის მებატონისა იმ ვაჭარსა და იმ გლებს აძლეს, იმას ხომ თავის მებატონებს ემსახურება, შაგრამ ამ თუ ყმასთან ბატონს სასამსახუროდ საჭმე არა აქვს, თუ საქვეყნ[ო]ს ვამო-სალებში ხიზანს არ გარევენ, არც ეს გლებისა და ვაჭრის ყმა-ნი უნდა გარიონ, უსამართლო იქნება. თუ იმ ვაჭრებისა და გლებების ყმებს მამული აქვსთ, ხან-და-ხან კოტათი სოფელს უნდა შეეწეოდნენ, თუ დიდად შეუძლებელნი არიან და ჩანს მათი შეუძლებლობა, არა ეთხოვებათ-რა. იქნება, კოტა რამ შეეძლოსთ და საეკლესიოს კაცის, როგორ თავაზის ილაჯი იყოს და ან ძველადგან ამ გვარებში თავაზი შეენახოსთ საქვეყნო-ში, კიდევ თავაზი შეუნახონ. ეს ეკირებოდა საქმეს, რომ და-ვსწერე. ამ საქმის ლაპარაკს ბევრჯელ შეუწუხებივარ და ამის-თვის დავზღვე აქა ამ ეკლესიებისა: სადა და საიდამ ეს საქვეყ-ნო ხარჯი აღგებოდეს მეფის ბრძანებით, იმავ მებატონის სარქ-რიდამ და იმის ბრძანების ნებით უნდა დაიხარჯებოდეს, რის-თვისების ამდგარა. ამაში მეფის მეტს კელი არავისა აქვს. იმან უნდა დახარჯოს და მოიხმაროს იმ საქმეზედ, რომლისათვისაც შეეწერა. ამ საქვეყნოს გამოსაღებიდამ სარგებელი იქნება, მე-ფის არის, ხარჯი, ზიანი იქნება, მეფის არის. არც დედოფალსა აქვს კელი, არც უფლისწულებს და არც სახლის კაცებს.

ნე) თუ ნება ლვოისა იყოს და ამ სქესებიდამ შთასულოთ არა მოაკლდესთ-რა და გამრიცვლდენ, კიდევ იმ რიგზედ იყვნენ, რამდენიც ძების ნათესავისაც შთასრულიყოს ამ ექვსი ძებისა, ისევ ექვსზე იყოს რიგით მეფობა და ბატონობა, ღმერთობან ნუ ქნას, თუ დაკლება მოხდეს, რამდენიც სქესნი იყვნენ, ისე კი იმ რიგზედ იყვნენ, მე ამას ვამტეაცებ და დამიმტეიცებია, რაოდენათ მოწყალებითა ლვოისათა განმრავლდენ, მაინც ასე სჯობს და ასე ქნან. თუ ველარ შეიძლონ ვერც თითონ იმ ჩემა შთამომავალმან და ვერც ქვეყანამ, მასუკან ღმერთობან კეთი-ლიად ვანაგებინოსთ, ნება აქვსთ, მაგრამ ჩემიდამ შეიიდ თაო-ბამდინ კი როგორც ზემოთ დამიწერია, ისე უნდა დამტკიც-დეს, რომ ფიცით და წუკვით დამიმტეიცებია; რომელმაც მო-შალოს, ის ფიცი იმისი იყოს.

ნებ) თუ ასე არ გამეცეროებინა, ის შეორე ძმები გაუჩას გოინდომებდენ, მასუკან სულ გაურაში ერთი შეორეზე აღწევდებოდენ, და შეუსხდებოდენ ჯარი და თავს გაუსვლელი და შეუძლებელი იქნებოდა, რომ მშვიდობა ჩამოეგდო ვისმე, და მულტ შეფით და სისხლის დაღვრა და სიკედილი იქნებოდა, და მე ასე ამისთვის შეიც თაობამდის, სადამდის უკელასი შეიც თაობა არ შესრულდეს, ამავ წესზე უნდა იყვნენ. იმავ ფიცით და იმავ წესით და იმავ კანონით შემიკრავს, და დამიტრიულ პირი, და მასუკანაც ამის ჩატვით დავსწერ; თუ დამიჯერებდენ, სალამდის ღვთის ნებით ეს ჩვენი გვარი და შთამოვავლობა იყოს, რომ გამდენიც ღვთით რომ გამრავლდენ, ასევ სჯობს, რომ იყვნენ და, თუ ვერ შეიძლონ და არ დამიჯერონ, თითონ იციან და ქვეყანამ, როგორც უჯობდესთ, ისე ქნან და ისე განავონ, მაგრამ შეიც თაობამდისინ კი ამ განწესების მოშლა არ იქნება და არ იქნება იმ ფიცით და იმ წყვევით, როგორც შემორე დამიტერია.

ნებ) საერთოს სახისოებისათვის ასე გაფრთხილებული უნდა იყვნენ, რომ იმათ უსამართლო არა დაემართოსთ რა, თორებ თავთავის წილს უფროსმა და საშუალმა ძმებმა და უმცროსმა რომ ესე ქნან, თავთავის წილს და კერძ[ს] კი გაუფრთხილდენ და დაიკვან და საერთო სახისოებს ძალი დაატანონ, ეს ღვთის განმარისხებელი საქმე იქნება და უკელამ მეუემა და უფლისწულებმა რომ უსამართლოთ გაიღლუონ, აღარც ძმებში მშვიდობა იქნება და გლეხი კაციც დაეჭანტებათ, ამზედ დიდად გაფრთხილდენ, რომ ამ განწესების წინააღმდეგი არ შეიქნენ. რომელნიც ძმები ამისთანანი გამოიწვენენ, ისევ მეუემ და ძმებმა და ქვეყანამ მოაშლევინონ. როგორც მართებულია, ისე დააყენონ.

ქართულიდამ რუსულად ითარგმნა საქართველოს მეფის ძის მირიანისაგან ნოემბრის ავ, ქვე უბზ, რომ იქნება საეკლესიის რეცხვისამგბრ ჩდეთ წელი.

ქალაქსა ტფილის, სადედოულოს ფლაბრის სახახლეში.

**199.** პირობის წიგნი მეცე გიორგი XIII-სა. მოქაულია ზემო მოკვანილ ირაკლის განწესების ბოლოში და რაც ირაკლის განწესების შესახებ ითქვა, ესაც ითქვის ამ პირობის შესახებაც.

პირობები, რომელიცა მაუცა აწინჯელია მეფესა საქართველოს გორგის მშენებისათვის თჯისას მეფის ძეთა ღუდონისა და აღმასისანისათვის.

ქ. ლოტიონ ჩვენ ბატონის შვილი გიორგი თქვენ ჩვენს ძალა ბატონის შვილის იულონს და აღმასისანს ამ პირობაებს გაძლევთ, რომელიც იმას ქვეით სწერიან:

ა) პირველი, ესე ჩვენი კელმწიფე მამა ლმერთმან მრავალს წელს გვიცოცხლოს, ყოვლითურთ მისის ბრძანების მორჩილნი და დამამტკიცებულნი ვიყვნეთ და ყოვლის ჩვენის შეძლებით სამსახურის მცდელონი.

ბ) მეორე, ესე ლმერთმან დიდი ხანს ოცოცხლოს ჩვენი კელმწიფე დედა, დედოფალი დარჩეან. მანამდის ცოცხალი ბრძანდება, რაც დღეს მდგომარეობა იქნა, ამ პატივით და ამ იქმაოთ და ამ საქმეებით მოუშლელიდ ბრძანდებოდეს.

გ) მესამე, ესე, რომელიც დღეს ჩვენი მამულები გვიცირავს მეფის ერეკლეს ბრძანებით, ეს საუკუნოდ და საშვილის შეილოდ მოუშლელიდ გუქონდეს.

დ) მეოთხე, ლმერთმან დიდხანს ოცოცხლოს ყუბელანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს უმცროსობით ჩამორიგებით იყოს მებზედ.

ე) მეხუთე, ეს ჩვენი უმცროსი მები ჩვენთან მოვიყვანოთ, შემოვიერთოთ და, თუ რამ აკლდესთ, სამართლიანის საქმით და შეძლებით შეესრულოთ.

ვ) მეექვეთე, ეს რომელიც ჩემი შვილები არიან, იმათგანაც ხაორიგამნი იყავით, რომ ამ ჩვენს პირობაებს არ ეწინააღმდეგომნენ და ყოვლისფრით თანმოკიდებულნი და დამატეკიცებულნი იყუნენ.

ზ) მეშვეიდე, ეს, რომელიც ჩვენის ოჯახის საზოგადო საქმე იყოს და ან საქვეყნოდ, ან ვისიმე და მოგერება ჩვენის

ოჯახისა და ან კელმწიფებთან, და ან ჩვენს მეზობლებთან  
ლაპარაკი ერთმანერთის შეკითხვით მოხდებოდეს.

(3) მერვე, რომელმაც ჩვენის ოჯახის შეიღებაც ამ პირო-  
ბის დახსნა მოინდობოს, ჯერ დიდად ვიცალნეთ, რომ ისევ  
ამაზედ მოვიყუანოთ, თუ რომ არ იქნას და არ იქნას, მასუ-  
კა, რაც შეგვეძლოს, ჩვენი ძალი იმაზედ უნდა მოვინმართო  
ბატონმა დედოფალმა დედაჩვენმა და ჩვენ სამიავ ძმათ და,  
თუ რომელმანმე ჩვენმა ძმამ მეორის ძმის მამულის მიმღლივ-  
რება მოინდობოს ყუბლანი ამას მიესდევთ და ნურის დავ-  
ნებებთ და ის საქმე კიდევ შევანანოთ.

ეს რომელიც პირობაები თქვენ ჩემი ძმებმა მოხვევთ, ამ  
პირობაებს ყოვლად ძლიერის დეთის სახელით გაძლიერ, რომ, თუ  
თქვენ ჩემზედ არა იმტკიცნოთ რა, არარა მე თქვენზედ ვი-  
მოტკიცნო და არც ეს პირობაები გავიტეხო. დეკენბრის ①, ქვე-  
უშე, რომ იქნება ყალესიურის რიცხვისა-მებრ ჩდეს | ვიორი.

**200.** სიმტკიცის წერილი მიუმოტლი მეუკე კოორდი მე-XIII-სავან-იულონი-  
სათვის, ეს წერილი მოტკიცელია ზემო წერილის პილობით და,  
ჩვენის აზრით, იმტკიცათვე მოკლებელია სინმდგოლეს, როგორც  
ზემო მოყვანილი ორი წერილი.

სიმტკიცის წერილი, რომელიცა მაუკაა აწინდელსა მე-  
უკესა საქართველოსასა გიორგის ძმისა თვესისა იულონისათვის,  
დამტკიცებისათვეს მისისა შემდგომად თვესა საქართველოს სა-  
მეფოსა ზედა შემცირდება.

ჩემი ძმავ, ბატონის შეიღლო იულონ! მე, თქვენი ძმა გიორ-  
გი ამ წიგნს გაძლიერ, რომ, როდესაც მე გარდავიცვალო, ჩემ  
შემდგომ მეფობა შენ გქონდეს, შენი არის, ამის ჩემის ხელით  
გიმტკიცებ და ჩემის ბეჭდით დეკენბრის ①, ქვს უშე, რომ იქნე-  
ბა ყალესიურის რიცხვისამებრ ჩდეს წელი | ვიორი.

**201.** სამძიმრის წიგნი მეტის ძის ფარნავაზისა,  $24 \times 18,8$  სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია პძიმე და წერტილები. სამძიმრის წიგნი მიწერილი უნდა იყოს გილრეგი ერისთვის გარდაცვალების გამო 28 ოქტომბერს 1833 წელს. ეს გილრეგი კინის ერისთვის იყო და მისი ქაღალი ანა კოლად ყავდა ფარნავაზს და მიტომ ფარნავაზი სიძეთ ისუნიებს თავის თავს. ამიტომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1833—34 წლებში. ნამდევილი ამ წერილისა „მოამბის“ რედაქტირის მოუვიდა ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინაშეოლისაგან და ჩეკი იქადან გაღმოვჩერებული. ნამდევილი პატრიონის სურავილისამებრ გადაეცა წერა-კითხების სახოგადოების წიგნთ-საცავს.

**1833—34.**

ბრწყინვალეო თავადო,

მოწყალეო კელმწიფევ!

არა ვუწყი, თუ ვისდა შევასწორო ეამი ესე გოდებისა და მწუხარებისა, ანუ რაბაში ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ვცრემლეოდე დაკვეთებულისა ამის საქმისათვის! გონებად მოვიღებ დღეს ეამს მას საგოდებელისა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრულისა, რომელი სწორი იყო მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა, და რამეთუ ჩემდა ეგრეთ საჭუხებელ და საგლოვეელ არს, ეამი ესე არა არს ნამდევილ ნაკლულევან მწუხარება ჩემდა, ვითა დღე იგი, ოდეს უბედურ ვიქმენ სანატრალისა მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულითა. ვისა შევასწორო ესე არა თუ მისსა, საღამო მოვიდნენ ცრემლნი საგოდებელნი, არავინ არს ნუგეშინის მცემელ ჩემდა და უმეტეს იდეილისა ამის ძელით, ვითარ შეერაცხო, რომელ არღა იყოს ტკბილ მოუბარი ენა დედისა ჩემისა მხედარისა, ვითარ დავსდეა ორთ თვე კერძოთ ობლობა ბრწყინვალებისა თქვენისა? ნეტარ თვემცა ვიყო მხელობელ თქვენდა, რათა არა წერილით, არამედ ცხოველითა ხმითა განვაცხადო შინაგან მდებარე მწუხარება ჩემი, რამთამე აღვიმსუბუქ მწუხარება ესე, რომელი ზედა დაერთო ჩემდა და დამძიმა უმეტეს მდგომარეობით ესე ეამი ჩემდამო მწუხარებამან ამან, არა რა სხვა მექმნების თანა მცოდარ, გარნა მდუმრიად ლინება ცრემლითა,

გაგრა ყოველთა ამათ ზედა დამტკიცელი ვითხოვ, რათა აღისუბ-  
ბრუნვით თქვენ მწუხარება ესე არა წინააღმდეგომებითა სამშრომ-  
სა ნებისმისითა, არამედ ყოველსავე ზედა მაღლობითა მისითა.

მწუხარებით დამტკიცელი მომხსენებელი საქართველოს  
მეფის ძე და საკუთარი სიძე თქვენი ფარნაგაზე.

**202.** ეს მოთხოვთა შეიცავს ერთ მოლურჯო ქაღალდის რვეულს მ  
ა, რომელშიაც ექვის ფურცელი. ამ ექვს ფურცელში დაწერი-  
ლია მხოლოდ სამი. მოლოს დარჩეული გვერდოვანია ცალკ-  
დება დაწერილი და ამ რვეულში ჩადებული. მხომა ნაწერია ლა-  
მაზის ნუსა მხედრულის ხელით, რომელშიაც ბშირათ არის ნამა-  
რები ხუცური ასოებიც. შელონი შავია. დრო გადაწერისა არა სხანს  
მაგრამ ხელ-ნაწერი ჩვენის აზრით უნდა კეთვნოდეს მე-XVIII სა-  
უკანის დასასრულს. ხელ-ნაწერი შემოწირულია იასონ კიკიშვილის  
მიერ წერა-კოსტიციის ბიბლიოთოვებისადმი (იბ. № 1488).

იმოვდევ მოთხოვთა ქართვისა მეფეთათვეს ბაგრატიონთა,  
თუ რომელი იყენენ და ანუ კითანინ რა საჭმენა ჰქმნეს თანამე  
სხეულთა კრცელთა ამბავთა მათთა მოვიკენებთ აქა.»

„იყო აღექანდრე პირუტილი (პლი) აელმწიფე, მეფე და  
მცყრიბელი სრულიად და ერთობით საქართველოსა. ამის დაწმ-  
ონენ ძენი, რომელთა შორის იყო ერთი ძეთა მისთავანი ძე, გიორ-  
გი, რომლისა მეფობისა დროსა განიკო საქართველოს სამ სამე-  
ფოდ და ხუთ სამთავროდ. ამის ვიღრებე მეფესა გიორგის ესვა  
ძე, რომლისაცა შემდგომად დაჯდა მეფედ ქართლისად სახელით  
კონსტანტინე და ამისცა ესხნენ ძენი, შობილნი თამარ დედო-  
ფლისაგან: დავით, გიორგი, ბაგრატ, აღექანდრე და მელქი-  
სელეკ. შემდგომად მამისა თვისისა დაპიჯდა მეფედ უფროსი ძე  
მისი დავით და ეკურთხა მცხოვრის მეფედ ცხებულად. ამან  
იმედა წელი ოცი და ესვა ძე პირუტილისაგან ცოლისა რამაზ  
და მეორისა, თამარ დედოფლისავან, ლუარსაბ, დიმიტრი და  
როსებ. ამის მეფესა დაეითხა გამოსთხოვა ძმიმან მისმან ბაგრატ  
მუხრანი საუფლისწულოდ, ესრეთვე არავი და ქსნის კვენი

მთიურ კეცილურთ თვისისა სარდლობითისა დროშისა მორჩილებ-  
ნასა ქვეშე, და უბოძა მეფემანუა თხოვეთა მებრ ძინსა მისისა  
და მერმე მეფემან დავით დაუტევა მეფობა და მისუა ძმასა თვისა  
გიორგის და თვით მონაზონ იქმნა და შევიდა მონასტერსა.

ხოლო გიორგი ეკურთხა მცხეთას მეფედ ცხებულად და  
იმედა წელი ათი. და ამან დაპირა კათოლიკოსად მმა თვისი მეღლ-  
ჭისედეკ. და მერმე ამანუა დაუტევა მეფობა და ვინაოგან არა  
ესდა ე, მისუა ძმისწულსა თვისა ლუარსაბ პირუბლისა და თვით  
მონაზონ იქმნა.

ესრეოვე შემდგომი თვისისა ბიძისა მეფედ ლუარსაბ ეკურ-  
თხა მცხეთას მეფედ ცხებულად და იმედა წელი ოც და ოთხი,  
რომელსაცა ქსნენ ძენი ვიღრებე თარი, ესე იგი სიმეონ პი-  
რუბლი და დაყით. ხოლო მეფობისა ამა ლუარსაბისა მონაზონ  
იქმნა ბიძა ვისი ბაგრატუა, პირუბლი ბატონი და მცყრობელი  
მუხრანისა, და ამანუა დაუტევნა ძენი ესელიდენნი: ვახტანგ,  
არჩილ, აშოთან, მაგა წმიდისა მოწამისა ქეთავან დედოფლისა,  
და ირაკლი, და ესე პირველი ე ბაგრატისა ვახტანგ იქმნა მუ-  
ხრანის ბატონად.

შემდგომიად მეფისა ლუარსაბ პირუბლისა (პლისა) დაპიჯდა  
მეფედ ე მისი სიმეონ პირუბლი (პლი) და ეკურთხა მცხეთას  
მეფედ ცხებულად და იმედა წელი ოც და ათ-ოთხ-მეტი და  
მოიყვანა ცოლად თვისად ასული კახეთის მეფის ლეონისა ნეს-  
ტან-დარჯან, შობილი შამხლის ქალისაგან და ჰყო ქორწილი:  
ხოლო ესე მეფე სიმეონ ბრძოლისა შინა შეიძყრეს ოსმალთა  
და მოიყვანეს კოსტანტინუპოლის, რომელსა დაპირნენ ძენი ვი-  
ორგი და ვახტანგ. და ამან ვიღრებე გომრგიმ სახსრად მიმი-  
სა თვისისა წარაელინა კოსტანტინუპოლის მრავალი საუნჯენი  
ეკელესიათანი და ჩინებულია ქართულთან, და ესენი მიიღეს  
რა კოსტანტინუპოლის, მიცვალებულიყო მეფე სიმეონ და მო-  
შეცეს აღსრულებული, ხოლო საუნჯენი იგი არღარა მოშეცეს  
ოსმალთა, და მოიღეს მეფე სიმეონ მცხეთას და დაპიჯდეს.

მერმე ამისსა დაპიჯდა მეფედ ე მისი გიორგი და ეკურთხა  
მცხეთას მეფედ ცხებულად და იმედა წელი ვიღრებე სამი და შერ-

შე გარდაიცვალა მეუკე გოორგი და დაპუთა ქე ლუარსაბ მეორე. ხოლო ესე ლუარსაბ მეორე კყურთხა მცხეთას მეუკედ ცხებულად და იმეუკა წელი ათორმეტი. ხოლო დროსა მისისა მოსახულმან ყაენიდამ თეომურაზ პირტულმან (პლმან) მეფემან კახეთისამან ჰათხოვა ლუარსაბს ცოლად და მისი ხეარაშან, და არა ინება მიცემად მეფემან ლუარსაბ ნათესაობისათვეს, არამედ იძულებითა შავიძაზისათა მიშნუა და აქორწინა მისთანა. მერმე მეფი ლუარსაბ ყაენმან შავიძას შართლმაღიდებლობისათვეს პატიმარ-ჭყა შვიდ-წელ ციხესა შინა გუაბანისასა, და შემდგომად მთაშოეს მასეუ ციხესა შინა მეუკე ლუარსაბ და შეირაცხა მოწამედ წმიდათა მოწამეთა თანა და იტყვიან მუნკე დაკრძალვისა წმიდასა გუაბისა მისისასა.

შემდგომად ამა მეფისა და მოწამისა ლუარსაბისა და მსჯდა მეუკედ ბაგრატ, ქე დავითისი, შომილი კახეთის მეფის ნათესავისაგან და მშისწული მეფისა სიმეონ პირტულისა და იმეუკა წელი ვიღრებე სამი, და მერმე გარდაიცვალა მეუკე ბაგრატ, და დაპუთა ქე ერთი ვიღრებე სიმეონ მეორე.

დეკენოზის მიხალისისათა, წელსა ჩდიდ.

შემდევ ხელჩართულათ:

კათალიკონ-პატრიაქი ანტონი ვამტკიცებ ნებითა ტონთა.  
განის აშიაზე სტამბერის ხელით:

ქ. ჩეინ სრულიად საქართველოს, ქართლისა, კახეთისა და  
ყაზახ-ბორიშალისა ფლობით შეყრიობელისა მეფისა ირაკლი მე-  
ორისაგან მტკიცე. სეკდენბერს ქ, ქეს იქეთ ჩდა (თავილი<sup>1)</sup>).  
განის აშიაზე ნებაზრის ხელით:

ქ. ჩეინ ყოვლის საქართველოს კათალიკონ-პატრიარქი შე-  
ცის ირაკლის ქ ანტონი ვამტკიცებთ წყალობის სიგელსა იმის  
იღლისის ქ, ქეს უგა—1803. ანტონი (ხელჩართულათ).

განის აშიაზევე სტამბერის ხელით:

ქ. ჩეინ ქართლისა და კახეთისა უფლისწული მეფის ქ  
გიორგი ამ ბიძის ჩეინის ნაბოძებს სიგელს ვამტკიცებთ სეკდე-  
ბერს ქ, ქეს იქეთ ჩდა.

გორგა ბა-  
ტონიშვილი

<sup>1)</sup> სირდა წარწერა ბეჭდისა ისეთია, როგორც № 217.

**226.** სიგელი, 44,3 X 25 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუს-  
ხა მშეღრულის ხელით. ნიშნებათ იჩვენება ორ-ორი წერტილი.

**1766.** ქ. ეპა შენ ყოველთა ქრისტიანობა სიქადულო და  
საქართველოთა ერთა განმანათლებო, სკეტო ტოიფ აღმართე-  
ბულო, კუართო საუფლო და მირონო ტთ მყოველო, რომე-  
ლი კურნებ სულთა და სხეულ-აღნაგთა კაცოასა, ჩვენ შენ მი-  
ერ ცა ფარვათა მონალიბილმან და მსასოფელმან, ქსნის ერის-  
თავმან პატრიონმან დავით, და მმამან ჩვენმან იმედანემან და იქ-  
სემან, ბიძაშეილმან ჩვენმან გიორგი ყულარიალისმან, და ძეთა  
ჩვენთა შალვამ, როსტომ და ბიძინამ, შემოგწირეთ და მოგა-  
სენეთ და გიძლენისმრთმეველეთ თქვენ ცათა მობაძესა კა-  
თოლიკე ეკლესიასა, სკეტოსა ცხოველსა და მას ზედა მჯდომა-  
რესა ჟდ სანატრელს უწმიდეს ჭი-პატრიოექს (sic), მეფის ძეს ან-  
ტონის, ასე რომე სურვილითა და ჩვენის ნებადართვის ძე-  
ლადვი მამა-პაპათა ჩვენთაგანაც შეწირულობა იყო და სხვა  
სოფელნი და აგარანი და ჩვენც აწე ქსე ვინებეთ და შემო-  
გწირეთ იქვე თქვენს სოფელს ქორდს ჩვენისავ კაცის ჩიფჩი-  
ურისა და ლაფაჩის ნისყიდი ვენახები, ჩვენ ქსენი სხვათა სამო-  
ქვოთი შევიჯერეთ და სამკეილროთ და საბოლოოთ შემოგწი-  
რეთ და მოგახსენეთ, რომ არას დროსა და ეამსა არცა ჩვენ  
და ჩვენი შვილნი და შვილის შვილნი და ნათესავნი არავინ  
გელილებოდესთ და, თუ ვინშე ამისად ცილებად კელყოს ვინ-  
მე, შერისხდი შენ დაუსაბამო ტთო და ყოველნო მისნო შმი-  
დანო და შენცა, ცათა მობაძათ საქართველოს განმანათლებე-  
ლო სკეტო ცხოველო, და ნურარიათმცა ისსნება სული მისი  
ჯოჯოსეთისაგან, ხოლო დამიმტკიცებელნი ამისნი ტთ იურ-  
იხოს. აღიწერია ქრისტესითვან წელსა ჩდავ, ხოლო ქართულს  
ქორინიერნს უნდ. დაიწერია ხელითა მდინარისა ჩვენის ქარელი  
თამაზისითა.

† ამისი შამცეულება	2)	ამისი შამცეულება
ამისი შამცეულება	2)	ამისი შამცეულება

\*) შეამი ჩეკვეზე ლომია გამოსატუდა. წარწერა ასომთავრულია გრაფი-  
ლით.

გვერდის აშიაშედ:

„ჩეენ ქსნის ერისთა[ა]ვი პ[ი]ტრონი შალვა ბატონის მამის  
წემის ერისთვის დავ[ი]თის პირს და სიგველს ვამტკიცებ გიორ-  
გობისთვის კი, ქვეს უძაბ [შალვა].

227. განშესების წერილი მეტის ირაკლი მეორის, 32X16 სანტი-  
მეტრი, დაწერილია ქალალზე ნება მხედრულის ხელით. ნიშნე-  
ბათ იმარება თითო წერტილი.

1767, გიორგობისავადს 29. ქ. ეს განშესება გიბძანეთ  
და ამას ზედ დაგაყენეთ თქვენ, რომელნიც ჩეენის ძმის, მისის  
უწმიდესობის კათალიკოს-პატრიარქის, ანტონისვან შეცემის  
დადგინდებულის ხარი, დღეს რომელნიც გლეხნი დაგეიყენებია,  
იმათწედ მოურავად და თავად და უფროსად სარდალი შოთშ,  
ასე გიბძანებთ, რომ დღეიდამ მოკიდებული ოთხს წელიწადს  
თარხანი არიან ყოვლის გამოსაღებისავან, რანიც მანდ შეცე-  
თას კაცი იდგებიან, არც ლაშქარი და არც რა სხვა გამოსა-  
ღები არა ეთხოვთათ რა. თუ ვინმე თვეი გაუტეხს ერთმა-  
ნერთსა, ან ჩხუბი მოუვიდეს, ან სხვა რამ მაგდარი წერტილი სა-  
ჭმე მოჰკედეს, იმისი თარხნობა არ გვიბძანებია, რომელიც იქი-  
ური საქმე იყოს, ყარაულობისა, სიურთხილისა, მოვლისა, ვარ-  
ჯისა, ყველაზე ასე ბეჯითი უნდა იყვნეთ, კარგი იქნება, ქვე-  
ყნის შესამატი, თქვენ მოგეცუმათ ჩეენი წყალობა, და თუ რომ  
წარდა რამე, იცოდეთ ასე გარდავედებათ, რომ ისე არცა ვის-  
[მ]ე გარდავედომოდეს. ყარაულს ყოველთვის დააყენებდეთ,  
ხალხს გააფრიხილებდეთ, ან მორისავან არა წააედენიოთ რა,  
ან მოუკლელობით ტ დაზარებით არ წაედეს რა, თორემ თქვენ გე-  
კითხებათ, იცოდეთ ეს ჩეენი ბძანება ასე აღსრულდება, და თქვენ  
იცით, რასაც ბეჯითი შეიქნებით, გიორგობის კი, ქვეს უნე.

ქ. და თუ თქვენ ამ საქმის შემძლებელი ვერ შეიქმნით  
და ერთი რამ ნაკლებობა შეგიტყვეთ, ამ საქმეს და მანდა-  
ურს თაობას და მოურობას იცოდეთ მაშინვე სხვას უბოძებთ  
და მიეცემთ [მრავალი]<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> სრული წარწერა ისოთია, როგორც № 152.

განის აშიაზე სწერია ირაკლის ნელით:

გედეონის ძევ შიომშ სარდალო, ეს ოქმი თქვენთვის მო-  
გვაწერია, თქვენ უნდა ამ საქმეს განაგებდეთ, ავიც თქვენ გე-  
კითხვის და კარგსაც თქვენ დაგიმადლებთ | ირაკლი <sup>1)</sup>).

228. ლაშექაბის სიგელი მეფის ირაკლი შეორისა,  $37 \times 14,5$  სან.  
ტმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსა მშეღრულის ხელით. ნაშ-  
ნები თითქმის სრულებით არა აქვს.

1769, აგვისტოს 11. ქ. რადგან ძველით ნეტარ-ხენენ-  
ბულის ჩვენის ჩამომავლობისაგან სვეტის ცხოველის ყმისა ასე  
განწესება ყოფილა, რომ რაც სვეტის ცხოველის ყმა ქართლს,  
იმერეთს, კახეთს, საათაბაგოს, სომხეთს, თუ საცა იყოს მის  
უწმინდესობის კათალიკოზს უნდა ახლდეს და თავის ყმით ჩვენს  
დროშა[ს] ბძანდებოდეს, ჩვენც ასე განვეოწესებია: რაც კახეთში  
საკუთარი სოფელი სვეტის ცხოველის ყმა არის, იმათი ჯარი  
მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას, კათალიკოზს, უფალს ანტო-  
ნის, იახლებოდნენ და თავისის ჯარით ჩვენს დროშაზე ბძან-  
დებოდეს, და თუ მათი უწმინდესობა იმ ჯარში არ ბძანდე-  
ბოდეს, რომელიც მათი სარდალი არის, მათი ყმა ყოველი-  
ვე იმას ეძარის, ჩვენს დროშაზე იმყოფებოდნენ და ჩვენის  
ბძანებით ყოველსავე მათს საქმეს მათი სარდალი არიგებდეს,  
სხვას კელი ნურავისა აქვს. იგრევე რაც ფანჯიერი ითლებო-  
დეს, თავეთის საკუთარის ყმის ფანჯიერი მათს უწმინდესობას  
მიერთობდეს, და რაც ჩვენი და მათის უწმინდესობისა საერ-  
თო ყმა არის, იმათი ფანჯიერი, რაც იქნებოდეს, როგორც  
იმათი დებულობა ბევრად გაიყოფოდეს, იგრევე იმათი ფანჯი-  
ერი გაიყოს, და მათი წილი მათს უწმინდესობას მიერთვის. ალ-  
წერა აგვისტოს აა, ქვე უნზ | ირაკლი <sup>1)</sup>.

განის აშიაზე სამი წარწერა სხვა და სხვა ხელით:

ქ. ჩვენ ყოველისა საქართველოს ქართლისა, კახეთისა და  
სხვათა მეფე გიორგი კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ბძა-

<sup>1)</sup> სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც № 217.

ნებას ვამტკიცებთ, როგორცა უბოძებია, ჩვენც ისე გვიბოძებია სამტკეთოს სარდლობა, ბეკია გედეონისშეილო, მარტის ქბ, ქვეს უბზ—1800.

+ მეფი სრულ  
იად ქართლისა და  
კახეთისა და სს  
ვათა გორგი

ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ძე მეტეოდრე, რუსეთის ლენინგრად-ლეიტენანტი და კავალერი დავით ამას ვამტკიცებ, მარტის ქზ, ქვეს უბზ.

**გვ.ჭ.ზ.ზ.**

ქ. მეფის ძე იმანე ამ წიგნს ვამტკიცებთ, პრილის აგ, ქვეს უბზ—1800.

**ი.ც.ხ.პ.**

**229.** წერილი მეფის ირაკლი მეორისა, 19,5×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნები თათვების სტულებით არა აქვთ.

**1769.** დეკემბრის 2. ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა იმედათ მისაჩენელს შოშია სარდალს ასე უამბეთ: მერე ქარიშხანთან ვასაგზავნოთ კაცნი ქართლსა და კახეთში ცველას შესწერდა. ამ წესათ ეს შესწერილნი კაცნი წლიამდინ იქნებიან, წლის თავს სხვა მოანაცვლე ჩაუვათ, და ესენი კის პატივით და წყალობით წამოვლენ. ამ შესწერით რაც ქართლში სკეტის ცხოვლის ყმა არის, ამათ სამი კაცი უნდა გაგზავნონ თ[ქ]ვენ, და თარწინით ყმანი თეთრათ უნდა მოგიღენენ სამ თუმანს, სასამრეთ უნდა მოვიღესთ ერთს თუმანს, ახლავ ეს სამი კაცი სამცხეოლოდამ უნდა გაარიგო ამ ოცს და ხუთს დღეზე ცხენით, იარალით, ტანისამოსით და გზის ხარჯით, აქ ქალაქს მზათ უნდა გყვანდეს. ამის დაგვიანება და გაუზიგებლობა არ იქნება. ილიწერა დეკემბრის პ, ქვეს უნზ. სამცხეთო კაცს გაგზავნით, თუ სხვას იშოვნით და შეიჯერებთ, ჩვენ ყაბული გვაქვს, ქართველი კაცი კი [იყო]ს. ეს სამი კაცი უნდა გაარიგოთ | შეცლე <sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> წაზუსტა ისეთია, როგორც № 152.

**230.** პირობის წერილი,  $28,5 \times 20,5$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალადზე ნუსა შეკულელის ხელით. ნიშნებათ ისმარება თითო წერტილი.

**1770.** პარტიას 9. ქ. ესე წიგნი მოვეც მე გურჯი ბერუანთ ხიზანასშეკულმა ივანე თქვენ, ბატონის პატრიაქის მოლარეთხუცეს კნიაზ გედღვონის ძეს პაატას, ასე რომ მე მისის სიმაღლის მეფის ირაკლის ბძანებით ქვეითკენ ყულათ წავილ, და მოვალეებმა თავი აღარ დამანებეს, რომ წავსულიყვავის ოც და ოთხი თუმანი ვალი მქონდა, მოველ ჩემის ნების მყოფლობით, შემოვეხვევე და რაც ჩემი მამული მქონდა ან ბალი, ან ნავენახობი, ან სახნავი, ყველა შენ ბერიშართათ(?) შენ მოვართვი ამ თრის წლის ვადითა, თუ თრის წელიწადზე და მოველ და შენი თეთრი, რაც სამართლით შენი თეთრი იყოს, მოვართვი, ჩემი მამულები მევე დამანებო, და თუ თრის წელიწადს ვერ მოვიდე, ჩემი მამულები ყველა შენთვის მომირომევია, ვეპრიანებოდესთ, წყალობა უყავით, გვპრიანებოდესთ, ვაყიდეთ, მე კელი აღარ მქონდეს-რა. არის ამისი მოწამე ჩენი მოურავი მგალობელი იოსებ იოსებ და მამასახლისი ანტონი მამასახლისი ანტონი შელქუა შელქუა და მატნა მატნა და ბერუა კირაკოზისშეკული ტ, ტ მე დეკანოზის მიხაილს დამიწერია ივანეს სიტყვითა და მოწამე ვარ. დაიწერა მარტის თ, ქეს უნტ შელქუა.

**231.** წერილი მეფის ირაკლი მეორისა,  $18 \times 15$  სანტიმეტრი, დაწერილია ქალადზე ნუსა შეკულელის ხელით. ნიშნებათ ისმარება ირ-ირი წერტილი.

**1774.** ანგრიას 13. ქ. ჩეენ შევიტად შოშია საჩუალს ასე უამბეთ: მერმე ჩეენი აქლემები ზემო-ქართლში გაგვიგზავნია, ნიკოლოზ უზბაში მიუძლევის, შენც მცხოველები დამწერან კოშკამდა გაატანე, რომ ღთით ღართის-გართ შშეიღობით გაატარონ, რადგანაც სამცხეოს ბაქა ქვეყანა გაძლევსთ, ვალი გაქვსთ, რომ ხან-და-ხან გზა დაუყაროულოთ, იანრის აგ, ქეს

უმაბ, რაც ჩვენს ძელებშის საქონელი ჰყიდია, სამცხეთო ბატი  
ამათაც გამორთმევია. | ლეიტ |.

232. წერილი ბატონის/შეილის ლეონისა,  $25,5 \times 15,5$  სანტიმეტრი,  
დაწერილია სქელ ქაღალდზე ნება მხედრულის ხელით. ნიშნები  
არა აქვთ.

1777, ქრისტიანობასთვის 2. ქ. ბატონის/შეილი ლეონის  
დღე კუველ სახსოვარო, ბატონი სარდალი შოშიავ,<sup>1)</sup> მრა-  
ვალ მოკითხვა მოგეხსენის! მერჩე ამ ქრიფთა დედაკაცია დიდის  
მწუხარებით შემოგვიცლა, და შენს ხაბაშს ზურაბის ამ დედა-  
კაცისა ოც და ორი კუდი ფქვეილი მართებს, თაშისუქრა აქვს,  
სალბათ (sic), რომ ეს დედაკაცი შენთან მოვიდეს და ეს ჩვენი  
წიგნი მოგიტანოს ამა, რაცა იმ თავისას თაშისუქრა შენის ხაბა-  
ზისაგან სათხოვარი ცქონდეს (sic), გამოუტოვათ და მისცეთ,  
ჩვენც დაგიმადლებთ და შენთვისაც მაღლია. ქრისტის/შობის-  
თვის ბ, ქვს უძა. ქ. სალბათ, რომ ეს დედაკაცი აღარ აჩიცო  
და რაც ასაღები ცქონდეს, მიაცემინო. | ლეიტ <sup>2)</sup>.

233. წერილი მეცვ ირაკლი მეორისა,  $20,5 \times 16$  სანტიმეტრი, და-  
წერილია ქაღალდზე ნება მხედრულის ხელით, ნიშნებათ ისმა-  
რება თითო წერტილი.

1779, მარტის 18. ქ. ჩვენ მაგიერად კათალიკოზის სარდალის  
შოშიას<sup>3)</sup> მოკითხვა უამბეთ. მერე გუშინაც წიგნი მოგწერეთ და  
ჯარით საგურამოს დაგიმარეთ, ახლაც ამას გწერთ, რომ არ  
დაიგვიანოთ და საჩქაროდ წამოხვიდეთ, და ამ თვის ოცს უთუოდ  
საგურამოს უნდა გამოხვიდეთ. ეს წიგნი, ვიცით, გზაზედ შემო-  
გეურებათ და საჩქაროდ წამოდით, ამის მეტი წიგნი ნულარ  
გინდათ. აღიწერა აგვისტოს ამ, ქვს უძა. ქ. ჩვენს შეილს იუ-  
ლონთან წამოდით გაუყრელად, შენ ნე წამოხვალ შენი ერთ

<sup>1)</sup> ეს შოშია არის ცველენის/შეილი.

<sup>2)</sup> სრელი წერტილი ზეცველის იხილი, როგორც პ. 293-ს.

<sup>3)</sup> ეს შოშია ცველენი/შეილი.

ერთი ძმა წამოვიდეს, და შენ მაგ ეკლესის მუშაობაზედ იყავ  
და მოუარე ქრისტი<sup>1)</sup>

**234.** განჩინების წიგნი, 44,6×25 სანტიმეტრი, ღამერილია ქაღალ-  
დზედ ნუსა მხედრულის ხელით. ნიშნებათ აქა იქ ისმარება წერ-  
ტილი და იშევათათ ორ-ორი წერტილი.

1788, სექტემბრის 10. ქ. ჩეტი ყოვლისავე საქართუ[ც] ლომისა მეცემინ, ირაკლი მეორემან, ნებინთან. ვიახელით სა-  
ქართვ[ც]ლოს მსაჯულთ შეკრებილებანი: შოშია გედეონის შეი-  
ლი და ოლსაბაძე დიმიტრი სამართალში გალაპარაკეთ. დიმიტ-  
რი ასე წიოდა: „ჩემს მამულში რუ გამოიღო, ჩემსავე მამულ-  
ში წისქვილი დაბრუნა, სამართალი შალირსეთო.“ შოშიამ მიუ-  
გო: „სათავე სხეისი იყო, იმ სხეის სათავიდამ წყალი გამოვი-  
ტანე დოდის ჭირნახულით, შენის სათავიდამ არ წამომიღია და  
შენი წყალი არ წამომიღია, მართალია წყალმან შენი შეირე  
ადგილი დაიტანა და შენის წისქვილის ადგილი ხარაბა იყო,  
სოფელის წისქვილი ეჭირებოდა და ავაშენეო“. ჩეტი რომ ამა-  
თი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივეცით: რომლის სა-  
თავიდამც შოშიას წყალი წამოუღია, იმ სათავე და წყალი ალ-  
საბაძისა არა ყოფილი. იმ სხეის სათავიდამ შოშიას წყალი წა-  
მოუღია, დარჩა სამართალით შოშიას თავისგან გამოტანილი  
წყალი, ამისთვის რომ რომელიც წყალი შოშიას წამოუღია, ის  
წყალი ალსაბაძისა არა ყოფილი და სათავე, რა საქმე აქვს შო-  
შიას, საცა უნდოდეს თავისი წყალი იქ წიოლოს და ამ ალსა-  
ბაძის მამულში ველარ გატარებს, და ველარც ამ ალსაბაძის  
მამულში დაბრუნებს, საცა უნდოდეს, იქ დაბრუნოს, შოშიას  
ამ ალსაბაძის მამულში საქმე არა აქვს-რა. მანამ შოშია სხვაგან  
წისქვილის ალაგს ააშენებდეს, მანამდინ უნდა იმავ ალსაბაძის  
მამულში უნდა იაროს იმ წყალმა და ალსაბაძის წისქვილი აბ-  
რუნოს. იმისი მოსავალი ნახევარი შოშიას და ნახევარი ალსა-  
ბაძეს და როცა შოშიამ სხვაგან ან რუ გაიღოს და ან წისქვი-

<sup>1)</sup> სწოლი წირწერა ბეჭდისა იქთია, როგორც № 152-ია.

ლის სახლი ააშენოს, მაშინ წაიღიას ის წყალი, თორებ ახლა ვერ წაიღებს, რომ სოფელი უწისქვილობით არ შეწუბდეს. ამისი მოასილი, მორიანიშვილთ პეტრე, შენ ხარ, ასე აღ[ა]სრულე! სკეტიშებერს ა, ქვე უთვ. ქ. ექვსი თვე ვადა მიგვიცია, ამ ექვსი თვეზე შოშიამ აღსაძაძის მამულიდამ უნდა აიღოს წისქვილი და სხვაგან დააპრუნოს. <sup>1)</sup> (აზის ოთხი ბეჭედი მსაჯულობისა. ერთზე აწერია „ნიკოლოზი“, მეორეზე — მსაჯულოუბული... მდივანი სოლომონ. წარწერა სხვებისა არ განირჩევა).

განჩინების თავში თრი წარწერაა: ირაკლია და დარეჯანისა:

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა მეფე ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ სკედებერს აგ, ქვე უთვ. ქ. განაჩენში ვადა არ მიეცათ და ჩვენის ბრძანებით ექვსი <sup>2)</sup> თვე ვადა და-ვაწერინეთ, ამისთვის რომ სოფელი უწისქვილოთ შეწუბდებოდა და ამ ექვს <sup>3)</sup> თვეზე მანამ სხვაგან წისქვილი დაბრუნდებოდეს, ამ წისქვილმა იმუშაოს, ნახევარი შოშიას და ნახევარი აღსაძაძეს მიეცის. თუ ეს ვადა არ მიგვეცა, საჩქაროდ ვერ ပ ერთი წისქვილს ვერ დააპრუნებდა და სოფელი უწისქვილობით შეწუბდებოდა [ტულა]<sup>4)</sup>.

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა და სხვათა დედოფალი, დადგინის ასული, პატრიარქი დარეჯან, მისის უმაღლესობის ბოძებულს განჩინებას ამას, ჩვენც ასე ვამტკიცებთ, ფეხერვლის კზ, ქვე უთვ დუღა  
დამუჯამ

235. წყალაბის სოფელი, 26X19,2 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალზე, ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებად იმარტება თითო წერტილი.

1797, მაისის 9. ქ. ჩვენ ყოვლისა ზემოისა საქართველოსა და კახეთისა და სხვათა მეფების ირაკლი მეორემან წყა-

<sup>1)</sup> ეს ცაგისძენელი სტრიქონები სხვა ხელით არის მიმატებული.

<sup>2)</sup> ეს სიტყვა წამლილია და ზემოთ დაწერილისა ხვით.

<sup>3)</sup> ეს სიტყვაც წამლილია და ზემოთ აწერია: ხვით.

<sup>4)</sup> სრული წარწერა ხეკვედის ისეთია, როგორც № 189-ია.

ლობა გრძელით ოქცენ გედევანისშვილებს შოთას და ბეკიას არაშენდას და წერთავანის მოურაობა [მოვეცით ყოვლის]ისა მისის სამართლიანის საქმითა. ტან ჩვენსა და სვეტის ცხოვლის ერდ-გულობაში მოვაბმაროსთ ყოვლის კაცის უცილებლად. მაისის თ, ქვეს უძვ. ქ. ოქცენ უნდა იმ ეკლესისა და იმის უწმინდესობის სამასახუროშედ ერდგულად უნდა გაისარჯენო [ერთეული]<sup>1)</sup>.

აშიანე ანტონის ხელით:

ქ. მცხეთისა და სრულიად საქართველოში კათალიკოზ-პატრიკარტი მცფის ირაკლის ა ანტონი წერილსა ამის ვამტკი-ცებით, მაისის ამ, ქვეს უძვ. — 1810. ანტონი (ხელმართულათ).

236. არძა და არძაშე მინაწერი გამიინება მეურის ვიორევ XIII-სა, 22X14, 5 საწლიერი, დაწერილია ლერჯ ჭალალტე ნესა მედრელის ხელით, ნიშნებათ ნახმარია აქა-იქ თითა წერტილი.

1799, ოქტომბრის და. ქ. მათის უმაღლესობის, ბეჭნიფ-რის ეკლესიურის წინაშე მოსახსენებელი, მათის მღოცველის მთავარ-ეპისკოპოსის პასიონისგან.

ორი იმერელი სამთავროს ყარაულად ჯამავირით მეყენა, დიდი ხანი იყვნენ, მცხეობს რომ ჭარი განიდა, სამთავროს შე-ვიღნენ, იქაც ჭირი გაუჩნდათ, სხვანი გამოვიღნენ, ორი კომლი ჭირნახადნი სამთავროს დარჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოყედა, ერთი იმერელი კი მოტანა და გიოგია. ეს სახლი ამ ორ კომლ კაცს მცხეთელს დარჩათ, ათი კოკა ღვინო სამთავროს იდგა, ოცი მცხეთასა, ფქვილი ქერი, სამარხო ნიგოზი, ჰურპე-ლი, ჭვაბები, სახლის ავეჯულობა რაც არის, თოფი, იარაღი, ესენი სულ ამ მცხეთელებს ჰქონდათ, ჭირითაც სახლი ამიგსეს, კიდეც ამიკლეს. ჩემი იმერელი რომ მოყედა, ოთხი თუმანი წელშედ ჰქონდა და სამის თუმნის თოფ-იარაღი ჰქონდა, მკუ-დარი საკირეში ჩაიგდეს და რაც ჰქონდა ამ ორმა კომლმა წაიღო შეიდის თუმნისა. წყალობას ვითხოვთ, მცხეთის მოუ-რავს ბეციას ებრძანოს, ეს ჩემი სახლის აკლებაც მოიკითხოს,

<sup>1)</sup> ხელი წარწერა— 156.

რა უცვეს და იმერელი რომ დამიარხეს, როგორც სხვას ჭირ-  
ნახადს ჭირიანი მკედარი დაქმარხოს, მომატებით მისცეს და  
სხვა გამოართვას, რომ იმ საწყალობელსა ანდერძის აგება უნ-  
და და წირვა, ჩემთ კელმწიფევ! ოკუტომბრის და, ქვეს უპზ.

თავში არძახე არის წარწერა მეცე გიორგის ხელით:

ქ. ჩეენი ბრძანება არის, მცხეთის მოურავო გედვეანის შვე-  
ლი ბეციავ! მერე ამ არზით მთავარ ეფისკოპოზის პისიოს ასე  
რომ მოუხსენებია, ეს საჩივარი შენ უნდა გაურიგო და გაბარო,  
უამისობა არ იქნება, ნოემბრის პ, ქვეს უპზ. გიორგი.

237. წერილი მეცე გიორგი XIII-სა, 16X10 სანტიმეტრი, დაწე-  
რილია ლურჯ ჭალალზე ნუსა მშეღრულის ხელით.

1800, ნოემბრის 7. ქ. ჩეენი ბრძანება არის სარდალო  
ბეციავ! მერე შენი სასარდლო კაცნი ახლავ ქულზედ კაცი უნ-  
და შემოიყარო და საჩივაროთ მოვამველო, ნოემბრის 9, ქვეს  
უპზ გიორგი<sup>1)</sup>.

238. წერილი მეცის ძის დაეგოთისა, 16X11,5 სანტიმეტრი, დაწე-  
რილია ჭალალზე ნუსა მშეღრულის ხელით. ნოემბრი არა აქვს.

1801, დანგრის 23. ქ. ბატონი ქხეთის სარდალ მოუ-  
რაო ბეციავ! მერე ქსნის ერისთვის შვილებს თავეთი მამული  
უბოძეთ და შენ უნდა გაჲცვე საჩივაროთ და სამცხეთო შენი  
სასარდლო კაცნი ქულზედ უნდა გამოიყვანო და თან გაჲცვე,  
რაოდენ შენის ერდეულობისაგან ვილდეთ, ეგზომ უნდა გია-  
სარჯო და ამათ შეეწიო. ახლა შენ იცი. იანვრის ტპ, ქვეს  
უპზ გიორგი

1) სრული წარწერა 234.

**239.** წერილი დელოულის დარეჯანისა, 23 X 19 სანტომეტრი, დაწერილია ქაღალდზე დ ნესხა მშედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება მძიმე და წერტილი. პატროვბი უმცესს შემოხვევაში გავსაცნოთ.

**1806, აანგრის 8.** შედ სამლეტელო მიტროპოლიტო, უფალო იონავ!

თქუმნი წიგნი მოგვივიდა, რომელშიაც გეოთხოვნათ ჩეტნები მოწმობა მამის თქუმნის გედეონისშეილის მოლარეთ-ხუცის პაარასი და თქუმნის მმის გედეონისშეილის გომრგის კნიაზობისაჲ და მე მმით კეშხარიტებით მცნობელი გარ; როდესაც კურთხეული კათალიკოზი რესექტი გამოისტუმრეს, მაშინ მოლარეთ-ხუცესი გედეონისშეილი პაარა სანატრელთ მეფეთაგა[6] იყო კნიაზად გამოცხადებული; და კუალად მეორედ კათალიკოზი რომ გამოისტუმრა სანატრელმან მეფემან ჩეტნებან, მაშინ კიდევ თქუმნი მა გედეონისშეილი გომრგი კნიაზად იყო ვამოცხადებული. და როდესაც ორტიკულები დაიწერა, იმ დროს რომლისამე მიზეზით კურთხეული და ნეტორად სახსოვარი ჩეტნი მეფე უწყრებოდა თქუმნის სახლსა და იმ მიზეზისათვეს დარჩა დაუწერლად კნიაზად გედეონისშეილი ორტიკულში.

სხუბრ გთხოვთ თქუმნის ვითარების ცნობით დაუკიტუბელ-მყოთ, რომ ლისთვისცა ფრიად მშადლობელად დავშეები.

თქუმნი შედ უსამლედელოესობისა სახსახურის მოსურნე საქართველოს დედოფალი დარჩა იანგრის მანერის ც დღესა.

წელსა წევ  
3.-ბურლს.

დაბადი  
დამუშავ

**240.** საწუქრის სიგელი, დაწერილია დიდ ლურჯ თაბაზ ქაღალდზე სხეილის რვევლი მშედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება მძიმე და წერტილი.

**1811, ნოემბრის 17. ქ.** ნებითა და შეწევნითა ტისათა, ჩვენ თავადთა გედეონის ძეთა, სარდალმან იოსებ, ძმისწულმან ჩემთან მოურავმან ნიკოლაოზ, ძემან ჩემთან მოურავმან იოანე,

ქმისწულმან ჩემიან დიმიტრი, ქმან ჩემიან მილახორმან დავით, ქმისწულმან ჩემიან მოლიარეთ-უხუცესმან სოლომონ, ქთა ჩემთა ზურაბ, ზაალ და შერაბ, მოგიბოძეთ თქუცი ჩეცითა შემკვეთისთვის უმათა ქებაძეთა გიორგის, იასეს, პეტრეს და იოანეს ფარსადაცდა ზეით რუმილინა, ქეეთ დარბასტანის რუმილინა, გვერდზე ქიტუაშვილს რომ სავენავე უბოძეთ ფარდაჭვა-დაში იქამდინა. იქით გვერდი ციციანთ ზტრამდინ, თქვენის ერდგულების ჩვენზედ სამსახურის ნაცულად და უშერტესად ამისათვის, რომ თქვენი მშა პეტრე ჩვენს მშას და ბიძას, ყოვ-ლად უსამღელელოებსა მიტროპოლიტა იოანეს ახლია რუ-სეთს და გულს-მოდგინებით ჰმსახურა, და მისმა ყოვლად უსამ-ღელელოებამაც მისი დიდი მაღლიერობაც გვიძრძანა, ტონ ჩვენს სამსახურსა და ბედნიერობაში მოგახმაროსთ და არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩეცნეან და არცა ჩვენისა შეიღლისა და სხურა მომავალთაგან, და ვინცა კელ-ყოს შლად ამისსა, ისიცცა მოიმლების თვისისა სახისაგან, და იყოს რისხვეულ მა-მისა და ძისა და წმიდისა სულისაგან. ხოლო დამამტკიცებელ-ნი ამისნი ღმერთმან აკურთხნებს. ღლიწერა სამეუფოსა ჭალაქსა მოსკოვს, ნოემბერს აზ დღესა, ჩეა წელისა.

ისებ თავადი გელვანოვი საჩალა.

თავადი მოურავი ნიკოლოზ გელვანოვი. [ ]

განის აშიაზე:

ქ. ამ ჩემის ძმის და ქმისწულების წყალობის წიგნს ვამტკი-ცებ მიტროპოლიტი იოანა (ზის ბეჭედი იონასი).

**241.** წყალობის წიგნი კათალიკოზი ზეპელესი,  $77 \times 15$  საწტომეტრი, დაწერილია ქალადზე რკვალის და ღილარინის შედრულის ასოებით. ნიშნებათ იბპარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. წიგნი საკმაოდ დაზიანებულია დროთა ვითარების გამო. ეს და ამს ქვე-მ ათ მოყვანილი ოთხი სიგვალი გელვანის შეიღლებისა ვაღმოვეცა პოდ-პოლკოვნიკა ვლადიმირ გელვანიშვილმა, იმას შემდეგ რაც ზემო-მოყვანილი სივლები დასტამბეთ. დაღნები უკან დავუბრუნეთ.

**1610.** ქ. სახელითა სახიერის, არსება დაუსრულებელის ღმრთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდასათა, მეოხებითა ყოვლად

წმიდისა, ყოვლად უნდონელისა, ყოვლად ბიწ შეუხებელისათა  
 დელოელის ჩენისა ტას მშობელისა და მარალის ქალწულისა  
 გარიამისითა, პატიოსნის და ცხოველს მყოფელისა ჯეარისათა,  
 ოხითა, შეწევნითა წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა  
 და წილის მცემლისა იოვანესითა, და თანა შეტომისა მისისა და  
 სენის მობაძეისა ითანე ღორს შეტყველისათა, მინდობითა და  
 შ[უამტგომელო]ბითა წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და  
 პავლესიმა და კ[ოველთა] ათორმეტთა მოციქულთა, თანა მოქ-  
 მედეობითა, მფლომერეობითა წმიდისა და ზეშთა არსისა, ცითა  
 მობაძეისა, კათოლიკე ეკლესიისა და მას ზედა შინა ღმრთის  
 აღმართებულისა, სვეტისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და  
 მირონისა ტა მყოფელისათა, ამთ ყოველთა წმიდათა თაქს  
 მდებობითა, მინდობითა და შუამტგომელობითა, ეს უკინისამდე  
 ფართა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩენ ქრისტეს  
 ღთისა მიერ კურთხეულმა, ყოვლისა ღმოსაელისა და ჩრდი-  
 ლოსა ღილან მამათ მთავარმან, კათოლიკოზმა, პატრინმა  
 ზებედე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, კითხვითა და ნება დართუ-  
 ლობითა ღთივ გვრგწონსნისა შეფერ მეფისა ლუარსაბისათა,  
 მოგეცით და გიბოძეთ ღილისა და ცათა მობაძეისა კათოლიკე  
 ეკლესიისა ჯვარის მტკირხველსა ელიაზის ძეთა გედეონის-  
 შეილთა დაიითს, როსებს, ქახოსროსს, ძმათა და მომავალთა  
 სახლისა თქვენისათა ყოველზავი, და შეგიწყალეთ და გიბო-  
 ძეთ ურეფე; გილაშეილი გიორგი, დათუ მისის მამულითა ყოვ-  
 ლითურთ უნაკლულოდ, მთითა, ბარითა, ველითა, ვენავითა,  
 წყლითა, წისქვილითა, სახლითა, კარითა, ქვევრით, შარნითა  
 ყოვლითურთ უნაკლულოდ, კიდევე მოგიბოძეთ სათოვანი. მი-  
 სის მთითა, ბარითა ველითა, ვენავითა, წყლითა, წისქვილითა,  
 შესათიბითა ყოვლითურთ უნაკლულოდ, ხალიჩაშეილი დათუა,  
 პაპუა; ლომაური დათუა, კადევ ლომაური ბერუა, ჯერკვალი-  
 შეილი ვეფხი და მახა, კარებლისძე მაღრიბა მისითა მამული-  
 თა. გქონდეს და გიბელინიეროს ტამა საყდრისა და ჩენისა ერდ-  
 გულად სამსახურსა შეგა შენ ჯვარის მტკირხველსა დაიითს და  
 როსებს, ქახოსროსს. და თუ ვისმე სიგელი ჰქონდეს, სიგლითა

ამით გავიცუდებია. მტკიცე ესეოდენ არი. არა შეგვეცვალოს  
და არა მოგვემოლოს ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სხვათა  
კათალიკუზთაგან. ამისი [დამამტკიცებული] ღმერთმან აკურთ-  
ხმს, ღმერთმან და წმიდამან ღთის მშობელმან და კათოლიკე  
საყდარმან. ვინც ჩვენი [ბრძან]ნებული სიგველი შევიცვალოს,  
იცვალების სჯულისაგან ქრისტიანითასა, დღების კეთრი გვეთ-  
სა, შიშვილი იუდასი, დათქმა დათან და აბირონისი, წრწო-  
ლა კაენისი, მებრეხილობა დიოსკორისი. [ვინც შევი]შალოს  
წმიდათამცა მამათა კანონსა ქ[ე]რშე არის. დაწერა სიგველი და  
ბრძანება ესე [ქვს] სეზ, კელითა ორუბევის შვი[ლი]ს ქრისტე-  
ფორისითა.

(ხელჩართველათ ხელს აწერს კათალიკოზი ზებედე და შემცეკ სპარ-  
სული წარწერაა მოყვანილი).

242. წიგნი კათალიკოზ ღომერტი მესამისა, 66×24,7 სან-  
ტიმეტრი, დაწერილია სქელ ქათალდზე რკველი მხედრული ხე-  
ლით, ნიშნებად იმარტება ორ-ორი წერტილი თითოეულის სი-  
ტურის შემცეკ, ინდიქტორი ავ შეცდომით უნდა იყვეს ნაწვნე-  
ბი აგ-ნის მავიერ. თორებ გამოვა, რომ ღომერტის 1702 წელს  
კურისხეველა პატრიარქათ, ნამდებელად კი ის ეკურთხა 1705 წ.

1718. †: ჩუქ ყოვლისა საქართველოს შაკურთხეველმან  
და დილმა მამათ მთავარმან, ღთივ გვრგვნოსანთა მეუეთა შა-  
რავანდელმან, კათალიკოზ პატრიარქმან ღომერტიმ, ესე უკუ-  
ნისამდე ერთია და დრო ცვალებათა გასათავებელი, მტკიცე და  
უმიზეზო, წიგნი და სიგველი შეგიწყალეთ და გი-  
ბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა და ჩუქნს მემკვიდრეს ელიო-  
ზისშვილს გედავანისშვილს დიმიტრის, შვილსა შენსა პეტრეს და  
მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა  
ზედა, რომე ცოტას ხანს შენი სამკვიდრო და ბარათში გამოყო-  
ლილის წერთვისა მოურთობა გამოგვირვეთ და. შენს გასაყოფა  
პაპუნას მიცეცით. აშ შენ შენი წიგნები გვაწვენ და ჩვენც მოკი-  
თხული ვქენით და გავსინჯეთ და თქუენს მეტს კაცს შენს სახე  
ლოსთან კელი არავის-რა ქონდა და შენს საკელოს შენვე და-

გვეაჯეთ, ვისმინეთ აჯა და მოქსენება თქუნი და გიბოძეთ თქუნი  
ნამეცეილრო და ბარითში გამოყოლილი საკელო წერთვისას მო-  
ურიობა ყოვლის კაცის უცილებლად და წამოუსაჩრლელად.  
გქონდეს და გიბეჭნიეროს ტთნ სვეტის ცხოვლის და ჩვენს  
ერთგულად საშახურსა შინა და აროდეს აზ მოგეშალოს არა ჩვენ-  
გან და არცა შემზღობად სხვათა კათალიკუთხთა და შეპატრიონეთა  
გან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ტთნ აკურთხენ. თვესა ნო-  
ენბერსა იფ, ინდიკტიონსა პატრიიარქობისა ჩვენისასა იფ, ქრის-  
ტეს აქთ წ.დ იმ: არიან ამისნი მოწამენი და შეუა დამსდურნი  
ჩვენი სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარ, გედავანის შეილი სარ-  
დალი ზაზა, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი გერასიმე, მოწობ-  
ლიძე გაბრიელ, გარაყანიძე ბოჭალო-ხუცესი მანუჩარ, მაღა-  
ლაძე სამ, კარმეული ქიხოსრო, ქარსიძე ხოსრო და შეტუმ-  
რე თამაზ, მვალობელი დათუნა და ელიოზის შეილი მვალობე-  
ლი აბიათარ, თაზიშეილი აფანდილ და ყოველნი მცხოვის-  
შეილი ნების დამრთველნი ამისნი და მოწამენი ამისნი. ქვა  
უფ. დაიწერა წიგნი ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგ-  
ნობარ-მვალობელის მაღალაძის სოლომონისათა.

შემცემ ხელჩართულად:

კათალიკუთხ პატრიიარხი დომენტი ეამტკიცებ ნებითა ტთა.

**243.** წყალობის წიგნი ანტონ პირველის კათალიკუთხისა, 76,5 X 12,5  
სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქაღალდზე ლამაზის ჩვეულის ხელით.  
ნიშნებად იბმარება ზოგჯერ თითო და ზოგ-  
ჯერ ორ-ორი წერტილი.

**1747.** †: ჩვენ ქრისტეს ტთისა მიერ მინდობითა დაუა-  
რულიბინ ძირმოდგმობით დაყითიან, სოლიომონიან, შარავანდიან,  
პანკრატოვანთა რტოთავანი აღმოცენებულმან, ჩვენ ყოვლის  
საქართველოსა და იმისახლეოთისა მაკურთხეველმან, კათალი-  
კუთხ-პატრიიარქმან, ძემინ მეფის იყესმან, ანტონიმ, ესე უკუ-  
ნისამდე ქამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და  
სიკელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუნ სვეტის-უხოვლისა ყმა-

თა და ჩენისა მემკეიღრეს და ერთგულობით და თავ-დადგ-  
ბით ნაშახურთ გედევანის შეილს პეტრეს, ერასტის, ძმისწულსა  
შენსა გიორგის, გედევანს და ივანეს და მომავალით სახლისა  
თქვენისა ყოველთავე, ასე რომე მაღალაშეილს ფირანს თავისი  
ბიძაშეილი მოკელა და ნიკოლოზს კათალიკოზს იმისთვის ყმა  
და მაშული წაერთმივა საუკუნოდ. მერეთ მოხვედით ჩენს კარს  
და წყალობას დაგეეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოქსენება თქვე-  
ნი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის მოუ-  
დევრად, უცილებლად და წამოუსარჩლელად, რაც სიგელი ამას  
იქით გამოჩინდეს, ამა სიგელმა ვაამტყუნოს. გქონდეს და გი-  
ბედნიეროს ჰით საყდრის სამსახურსა და ჩენსა ერთგულობა-  
სა შინა და ორთვეს არ მოგეშალოს არა ჩენგან და ორცა  
სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთავან. ხოლო დამიმტკიცე-  
ბელნი ამისნი აკურთხნეს ჰით და მადლი კათოლიკი ეპის-  
ტიისა იყავნ მის ზედა, აჩამედ თქვენ ყოვლად წმიდანო და  
სანატრელო კათალიკოზ-პატრიარქნო, რომელნიცა ჩენსა  
შემდგომად იქნებოდეთ, თქვენცა აგრევე დაუმტკიცეთ და  
ნუმცა ვინ არს მშლელ ამის-და, რათა ჰით თქვენიცა გაგებუ-  
ლი ყოველიც მტკიცედ ყოს. არიან ამისი მოწამენი და ნების  
დამრთელნი და შეუ დამზღვრნი ერთობილნი მცხეოს შეილ-  
ნი. დაწერა ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩენისისა: შ: ქ: გ:  
განხორციელებითგან ჩდმზ: კელითა მხატვრის კელოვნის გრი-  
გოლისძის ალექსისთა: ქ: ს: ულ:.

შემდეგ ხელჩართულად:

კათალიკოზ პატრიარქი ანტონი ვამტკიცებ ნებითა ტათახ.

განის აშიაზე სხვა ხელით:

ქ: ჩენ საქართველოს ქ: პატრიარქი იოსებ ვამტკიცებთ  
სიგელსა ამას. კათალიკოზ (ხელჩართულათ).

**244.** የሰውን ተግባራዊ ስምምነት እና የመስቀል ስምምነት አለበት ይህንን የሚያሳይ ይችላል፡፡ ይህንን የመስቀል ስምምነት እና የመስቀል ስምምነት አለበት ይህንን የሚያሳይ ይችላል፡፡

1782, დაკინირის 22. ქ. ლონ ბელინიერის კელმწიფის ჭი-  
რი მოსცეს პეტრე გვადეონის შეიღს თქვენის ძმის მუჯინიბეთ  
ხუცესს ბეცის.

მეტაზ ამას მოვისტენებ ჩვენს კელმწიფეებს: მამა-ნემს და ვაბ-რიელს სარდარს ორი კვემოთ კაცი ჰყავანდათ გასაყოფი, გა- ვიყავით, ერთი იმს ერთი და ერთი ჩვენა. ახლა ახალქალაქს გახლავსთ ჩვენი ნარები, გოროვნელი გახლავსთ, ივანე ექვე- ურას ეძახიან, ბერი თარხნის შვილის კედლად, პაპით და მამით ჩემი მემკვიდრე. თქვენი წყალობა ოქმიცა შეონდა ბეცია სია- მის შეიღლუე, მაგრამ არ მოყარა. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთის თქმის წყალობა მოყოფა და იახოვლისა, რომ ჩემი კა- ცი მოიყაროს და მომაბაროს, ჩემს კელმწიფეებს კა- ქეს უა.

თავისი ირაკლი მეორის ჩელით ცურავა:

ქ. ჩვენი ბძინება არის, თუმცა კონკრეტული გოგიავ. მერჩე ვისაც  
იმისი ყმა ყვანდეს, ახლავ უნდა აუყარო და მოძარო, და თუ  
ამაში სიტუაცია ვისმე ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, დეკომპრის ჭა,  
კენე უა.

ნასყიდობის წიგნი ლარაძემანთა, ამ წიგნის პირზე ვიპოვენთ და-  
წერილი ღერბის ქაღალდზე. პირის სინამდვილეს დედანთან ამო-  
წევბს დალექის სასამართლოს 1868 წელს. ნიშნებად ნახმარის ყო-  
ველა სიტყვის შემდეგ სამ-მამი წერტული. ნასყიდობის წერტულს  
აქვთ ძრიულ კრისტალ ჩვეულებრივი შესვალი, რომელსაც ჩვენ  
განვეძე ვტოვებთ. ეს და ამას კვემოთ მოყვანილი ოთხი სიკვდი-  
ბუარი ვიპოვენთ წალკაზე მოგზაურობის დროს ზაფხულში 1896  
1 ლა მართა ლარაძის ასულის ქვეინა შალიკოვის სახლში, ნა-  
სოფლარ ვერისში, გომარეთის მახლობლათ, და იქტან გაღმოვს  
წირეთ.

1687, მარტის 15. .... ესე.... ნახვილობის წიგნი მო-  
გეცით ნკენ დიასამიძემ დიასამ და ჩემა ძმისწულმა იახემ და

<sup>1)</sup> საქართველოს მდგრადი იურისტი, როგორც № 169-სა.

ჩიმამევალმა სახლისა ჩეენისამან თქვენ ლიარძე ზურაბს და შვილსა თქვენთა: აფთანდილს, იორბაშ და შოთაშ, შვილის-შვილსა თქვენსა შერმაზანს და პაპუასა, ასე და ამა პირსა ზე-დან, რომე თქვენის ძმის ასიტას წილი გერისათ ხემწიფემ ჩეენ გვიბოძა სამამულეო, და ქონდა, კითაც თქვენი სამკიდრო იყო და თქვენი ძმა ასიტა უშვილოდ გარდავლინდა, უშვილოს წილი სახემწიფო არის და ჩეენ გვიბოძა, ჩეენც უმხრიდ ვიყვე-ნით, ერთი შორი აღავსიო იყო, რაც მსახლობელი გლეხის (sic) გვესახლა და ავეყყარა, კითაც თქვენი გაუყრელის ძმისა წილი იყო გერის, ან საკომლოები და ან გლეხი, ან შენი და ან ოხე-რი, დაგვეტირა და თქვენი სამკიდრო გერისათ თქვენვე მოგ-ურდე, ავილეთ ფასი მოელი და უკლები, რასაც ჩეენი გული შემოგვერდებოდათ, ზედ აღარა დარჩა-რა ერთის იორის ფასი. ვინც და რამაც კაცია ამის შლად ხელი ყოს, მასაც რისხავს ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი. არის მოწამე და დამხდური კაცთან მესახლაშვილი ზალ †, მისი გა-ნიკოფი პაპუა [ ], ხევაძე შალვა [ ], თულაშვილი ზურაბ †, თულაშვილი მელვინეაზეცის თათარი [ ], ხელიაშვილი ხოსრო ბოლოჩევ, ყორლანაშვილი როსტომი †, თურქისტანიშვილი ყაფი-ჩი ბაგრატ †, არეშაშვილი ილუა, ბეგაშვილი ასიტა †, მე მდი-ვანს ყორლანაშვილს იაჩალის დამიწერია და მოწამეც ვარ ამი-სი. აქურობოს ტმზ ამისი დამატებულებელი, ამინ. დაწერა მარ-ტის ფე გასულს, ჭრის ტოვ. [ ] [ ] † † [ ] [ ] [ ] [ ] [ ].

246. დამოშება სოფელ ვერისს სამდრევებისა, 21X15,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდე ნუსა მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვთ.

1763. ივნისის 3. ჩეენ ქვემო ამისა ეკლის მოწერინი წინაშე ტისა კეშმარიტებით ვსწერთ, რომ დადგა გერისას სამ-ზლეარი არის აღმოსავლეთით რეგაშნის თავს გაყოლებით ქვები ჩაყრილი ვიდრე ბატარა გუმბარეთისა და ეგრისას მიჯნა ქვებ-ჩაყ-რილიადმდე; დასავლეთისაკენ ციხე-ქვებიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, ვალმითკენ ათას ქას ხევი რომ არის, ის არის; ჩადი-

ლოს მხარეს დადა გუმარეთისაკენ ქვა-კაცნი ჩიყრილი რომ არიან; სამხრით მდინარე ზეირთაკეტა. ეს სამშლერები მეფის როსტომის პრძანებით ლარაძეებს ფიცით გაუტანიათ და მას აქეთ ასე სკერიათ, და ჩვენს დროშიაც ასე ეჭირათ ლარაძეებს. ამ სამშლერებზე მოდავე არავინ ჰყოლიათ და არც გაგვიგონია. /ჩვისის გ, ქვე უნა.

ასე მოესწრებიგარ, ასე მინახავს და ასეც არის. ეშვალაბაში იარალი (ხელჩართულათ).

ასე მინახავს და ასე არის, აბაშიშვილი ლუარსაბ (ხელჩართულათ).

ასე მინახავს და ასე არის, ქავთარიშვილი ნიკოლაოზ (ხელჩართულათ).

247. ნაციონალის წიგნი, 82X23, 2 სანტრაპეტრი, დაწერილია ქალალზე რვებილი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იქმარება ორ-ორი წერტილი.

1727, მაასას 1. ქ: სახელითა სახეორისა, არსება დაუსაბამოსა, ძალ განუზომელისა და ძლიერება მიუწოდომლისა, უნიფორმისა და უსხეულოსა ღუაისა, სამგვამოვნად ცნობილისა და ერთ კელმწიფებით თაყუანის ცემულისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, საფარეველითა ყავვლიდ უხრწინელისა დედოფლისა ჩვენისა ღუაის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა პატიოსნისა და მჩავალი ნიშ მყოფელისა ჯვარისათა, წმიდათა უსხეულოთა ზეცისა ძალთა მიქაელ და გამრაველისათა, წმიდისა წინასწარმეტყუელისა და საშოთვანვე წინამებრძოლად მქადაგებელისა, წინამორბედისა და ნათლის მცემლისა იოანესითა, წმიდათა წინასწარმეტყუელთა: მოსე, აზრონ, ელია, ესაკი, იერემია, დავით და დანიელისათა, წმიდათა თავთა მოციქულთა: პეტრე, პავლე, იოანე, ინდრია, იაკობ, ათონმეტთა უოველთა და სხვათა სამეოცდა ათთა მოციქულთათა, წმიდათა დიდისა ბასილი, გრიგოლი ღუაის მეტყუელისა და იოანე ღუაის მეტყუელისა და იოანე ოქროპირისათა, წმიდათა მამათა ჩვენთა: საბა, ონოფრი,

ეფტემ, ეფთვიმი, დავით გარესჯელისა და იოანე ზედანელი-  
სათა; წმიდათა მოწამეთა: გიორგი, დიმიტრი, ეკტათი,  
თევდორე, კვირიკე და ორტემისითა, წმიდათა ქოლწულ-მოწა-  
მეთა: თევკლა, ირინე, მარინე, ბარბარე და ეკატინენესითა, ამათ  
ყოველთა წმიდათა ტანისათა და რომელი სათნო ეყუნეს უფალ-  
სა ჩვენსა იქსო ქრისტესა, ამათ ყოველთა მინდაბითა, თავდე-  
ბობითა და შეამდგომლობითა, ესე მტკიცე და უცვალებელი,  
მიზენ შემოუღებელი და დრო შემოუგდებელი, ყოველის ჩეუ-  
ბისა და სალოპერაკოს საქმისაგან გამორჩეული, ნისყიდობის  
წიგნი და სიგველი, დაგიწერე და მოგეც მე შენმა განიყოფია  
ლარაძე შიომშის შვილმან ზურაბ, შვილთა და მომავალთა სახ-  
ლისა ჩემისათა, შენ ჩემს ბიძაშვილთ ლარაძე პატაშვილებს: კა-  
ციას, მღდლის ბეჭანს, დავითს, შვილსა შენსა გიორგის, პაა-  
რას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე და ამა  
პირსა ზედა, რომე შრაველის ხარჯისა და გამოსაღებისაგან და  
ბეჭრი ვალი დამატყდა, ლონე და გზა აღარსაით შეონდა, მო-  
ვილ ჩემის ნება წადილითა და მოგვიდე გერის ჩემი სამკვიდ-  
რო მამული, ბარათში გამოტანილი ჩემი წილი მამული, მემკ-  
ვილე და ზედ მსახლობელი როსაფაშვილი ბერუა და შემაზა,  
ვარდიაშვილი, ბერიტაშვილი, შაშნიაშვილი ივანა, ფელიშვილი  
ოქტავა და ებალა, ბერუაშვილი გიორგი, ბერაშვილი შემაზა  
და აბრამა, ესენი თავიათ საეკვმლოთ მამულით, საკნავ სათო-  
ბით, მითით და ბარით, წყლითა და წისქვილით, ნისყიდ-უსყი-  
დით, შესავალ გასავლით და ყოველის მათის სამართლიანის სამ-  
ზღვრით, ავილეთ თქურნეან ფასი სრული და უნაკლულო, რი-  
თაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ, არავინ იყოს ამისი მცი-  
ლე და მოდავე, თუ ეინმე წამოგედოს პირისა და პასუხის გამ-  
ცემი მე ვიყო. თუ ეინმე ამისდა შლიად ეკლუოს, რისხავს ტითი  
და ყოველნი მისნი წმიდანი, შასმუა ედება კეთრი ვეზისა, შეშ-  
ვილი იუდისი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირინესი (სი) და  
ნურასამცა სინანულით ნუ იქნების კინა სულისა მისისა, არიან  
ამისნი დამხდურნი და მოწამენი თავად ტაი, კაცოგან ბატო-

ნი ყავლანისშეიღლი ქაიხოსრო. ქაიხოსრო (ზელჩირთულად<sup>1)</sup>), სარ-დლისშეიღლი ითანე, ვახტემტის შეიღლი ვახტანგ, მამუკასშეიღლი ფარსადან, გორჯასპისშეიღლი ქაიხოსრო, ბარძიშ, ორბეჭი, პაპუნა, ამათი შეიღლი, მაჭავარიანი ფარსადან<sup>2)</sup>), შაბურ ჩანი-კაშეიღლი ასლამაზ, კარგარეთელი დავით, ლოლაძე ლუკოსია, აბულაშეიღლი ბარათა, გიორგი, ლუთისია, ფატარეთს დეკა-ნოზი ნიკოლაოზ, ხარდლის დეკანოზი ტილიპე, მანველიშვი-ლი დევით, ტრანგისშვილი მღვდელი დავით, ეგნას მღვდელი ლაზარე, განიაშეიღლი გიორგი, შიშნიაშეიღლი გიორგი, ცერუ-ვაძე პაპუა, პეტრე, ამირანაშვილი ლამაზა, გომარეთს მღვ-ლი ოქროპირი, მამასახლისი ხოსიტა, როინაშვილი პაპუნა, აკურის ჭანგურიძე ივანა, ნააწარს საგინაშვილი დათუნა, ურ-ცემანს ლონიაშვილი დაობ, აისელი, ტერტერის ძმა დათუნა, ზეუდისტანს ბაჩაშვილი გიორგი, ფანიაშვილი დოლმაზა, თაფ-რაჟადას ოსიაშვილი ოსიყმე, კარდისუბანს ხუციშვილი მახარა, მატრა-ეგრის კაცია, რევაშენს ლომიაშვილი ებალა, სსაღნარის ბასილიშვილი ლამაზა, ნაქადაქევს მღვდელი ბასილი, ქვიას დე-კანოზი მახარებელი, შაქარაშვილი ნადირა, ყანდურალაშვილი გიორგი. მე სიონის დეკანოზისშვილს იოსეს დამიწერია და მოწამეება ვარ. დაიწერო მასის დამდევს, ქვე უძვ.

შემდეგ სხვა ხელით:

მე ზურაბ ლარიძეს დამიწერია, ყაბულიც შექ ამისი, ლმრ-თმან მოვახმარის.

განის აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ამისი მოწამე მე უსუფა ვარ, რომე ზურაბ ყაბული შეიქნა [ ].

პირებით გვერდის აშიაზე:

არის ამისი მოწამე ტფილელი.

1) ქეჩიო შოკვანილი მოწერილ უკალანი ხელისრიცვლით იქცერქ ხელს შოთა დასახელების შემთხვევა.

2) იქვედან ყოველი მოწერის დასახელების შემთხვევაზე კუარი უშის.

**248.** ანდერძის წერილი გიორგი ლარძაძისა. ამ ანდერძის წერილისა ჩვენ მარტი პირი გვაძეს ხელში, დაწერილი ლებაძის ქაღალდზე და შემოწმებული უძილესი საქართველოს მართვებულებისაგან 1821 წ. ვარედ წოდებულის მოსახლეობის მიერ, პირი ეკუთვნის მართა ლარძაძის ასულს ქნ. შალიკვეისას.

**1792.** დეკემბრის 26. ეს ფრიად სასურნო და გულისა ჩემისა საყვარელნო შეილნო, ისმინეთ სიტყვანი მოხუცებულისა მამისა თქვენისანი და დაისხებით გულთა შინა თქვენთა თხრობილნი უძლურთა ბაგეთა ჩემთანი, ჭითქვენ მიერ დაისხნენ ძეთა თქვენთა და ნუმცა იქმნების ურჩება მცნებათა ჩემთა, ნუცა თქვენგან და ნუცა შოამამავალთა თქვენთავან, და რომელმან არა ინებოს დადგომად სიტყვათა ჩემთა ზედა, განვეღინ ეგვითარი ეს სახლისაგან ჩემისა, ვითარცა მონა და არა ძე. შეილნო, რომელთა გნებავს სიტყვათა ჩემთა დამარხეა და მას ზედა სლვა, შეიყვარე ძმა შენი, ვითარცა თავი შენი და მას არა მე გამცნებ, არამედ სალმრთო მცნება არს, და ამასთან გაქვნდენ ყოველი მონაგები შენი, ვითარცა შენთვის და ეგრეთ ძმისათვის, და ნუმცა შემოვალს ზოგადგან თვისებისა გულის-უქმა თქვენ შორის, და რომელმან შემოიღოს ესე ვითარი გულის-თქმა და უნდოდეს განსლვა ძმათავან, უკეთუ აქვნდეს საცხოვრებელი ევე ვითარსა მას ძმისა, მოელოს ყოველივე და მიეცეს, რომელინ მკვიდრობდენ ერთად ძმანი მისნი, და უკეთუ არარა აქვნდეს და უნდეს განსლვა, ნუმცა მიეცემის, ძენო ჩემნო, ნაწილი მას, არამედ შეიტკბეთ ყოველითა სიყვარულითა და თუ ინებოს დადგომად თქვენთანა, გიყვარდენ, ვითარცა თავი თვისი, და უკეთუ არა ინებოს, ვანაძეთ სახლისაგან თქვენისა ყოველითურთ უნაწილოდ, ძენო ჩემნო, ესე წინასიტყვა დავსდევ აღსაშენებლად სიყვარულისა თქვენისა და ერთობისა, და ნუმცა მოიშლების თქვენ მიერ ესე. და სხვა ვითარცა უჯობდეს ოჯახსა თქვენისა და ტკბილსა ძმობასა, თქვენცა იცით და ეგრე ყოფდეთ. ერთხა სახლისაგან თქვენისა ნუ გამოაკლებთ ხლებად მეფესა და მსახურებდინ ყოველითა კრძალულებითა. შეილნო ჩემნო, თქვენ მამულნი თქვენი არცა გინახავთ და არცა იცით, და რომელი მინახავს

და შოვესწრებივარ შენობასა მათხა, ვსწერ, და არის სხვაცა  
სოფელები: არაგა, თხიდღნარა და ჭიგრაშენა შეფისა და მო-  
წამის ლუტოსხაბისაგან ჩვენს მიმა-პაპათ ჯილდოთ გამოუტანიათ  
და კიდევ შეფეთაგან სოფელი დარუბანდი და იარაზისას შეიღი  
ყაჩივოზა თავის შემუღლით, მთითა და ბარითა, და სხვანიცა,  
რომელნიც მეფეთაგან წყალობად ვვეირებით, მაგრამ მე იმა-  
თი შენობა არ მასხვეს. დადის-ეგრისის შენობას მოვესწარ,  
რომელშიაცა მსახურებლა მამასა ჩემსა ასი კომლი კაცი და  
უფრო მეტიც, და ეს დადის-ეგრისი საქუთრად ჩვენი არის,  
სხვებს კელი არავისა აქვს. ერთი კომლი კაცი იდგა ტაბარუ-  
სავით ფოცხვერის შეიღილი, ის ჩვენი ყმა არ იყო, სარდალს ემსა-  
ხურებოდა, და სწორედ არ ვიცი, მარტო ის კაცი როგორ  
იყო სარდალის ყმა. წიგნი ექნება და ის წიგნი გამოაცხადებს  
იმ კაცის საქმეს, თუ როგორ ყოფილა, ამას გარდა არ გამი-  
გონია, რომ ან ნისყიდი და ან უსყიდი სარდალს ქონებოდეს  
რამე ეგრისშია. კეშმარიტებით ვსწავებ, არც მე გამიგონია და  
არც მამაჩემს იმ ფოცხვერის შეიღილის გარდა და არც ქონიათ  
სარდალიანთ საქმე დადის-ეგრისშია, საქუთრად ჩვენია და ჩვენი  
სასახლე და სასაფლაოც იქ არის; ჰილაზედ ზეარი და ორი  
დოლაბი, მინდორში ჩვენი ერთი სამეხრეო, რასაც იმუშევებს,  
ხოდაბუნი სამი, ორი რევაშნის თავს და ერთიც წახუჭაბებდებ  
საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ ითხებას-ხევი რომ არის,  
ერთი იქ არის, რომ შეიქნა სამი.

კიდევ წინ-გენახის შენობას მოვესწარ და ეს წინ-ვენახი  
მეფეთაგონ წყალობადაც გვაძეს და შეიცა და შეიც ნისყიდობაც  
არის და ზოგიერთი მეც მიყიდია. ერთს საკომლოსა საამიანი  
დაობენ, და თუ მართლა ლაპარაკობენ, წიგნი ექნებათ და ის  
წიგნი გაარჩევს, მე წინ-ვენახი საქუთრად ჩვენი მგრინია და,  
თუ ერთი საკომლო აქვსთ საამიანთ, იმისაც წიგნი გამოაჩენს,  
მაგრამ ქვეყანამ იყის, რომ წინ-ვენახი ლარაძიანთი არის და  
არცავინ აქამდინ ვედავებია, შეიღწო, სიცოცხლენო მოხუც-  
ბულისა მამისა თქვენისანო, დავით, იოანე, იოსებ და პეტრე.  
მე ობლობით ალვიზიარდე და იმ გამად შემოხდა, რომ ზანი-

ჯინობა სარდალს ქიბოსროს ერწმუნა, და რალგან იმ ეჭიად  
ჩვენს მცპატრონებს მეუესთან კვლარ მიერწელი, მიცელ და მი-  
ვინდეთ ჩემი თავიცა, ყმაცა და მამულიცა სარდალს ქიბოსროს  
და ასე ემსახურე, რომ თითონ მიბრძანებდა, შენის სამსახუ-  
რით კულამდინ სავსე გარო; კიუავ კარგა ხანი იმათს ოჯახში  
და სარდალს რევაზს ასე შეუველ, რომ ყოველივე იმათის ყმისა  
და მამულის მეურნეობა მე მქონდა, და აბდულაბეგმან რომ  
სომხით-საბარითაშვილო რომ გაიერთვულა, მე იმ ეამად ძვეშისა  
ციხეში დავიჩი თოხმოცის კაცით, მოურავიც ვიყავ ძვეშისა  
და იმ ეამად აბდულაბეგმან ხან-ჯარის გარ-მოდგომით მოინ-  
დომა ქავშის ციხის წარომევა და ხან მრავალის დიდებისა და  
პატივის აღთქმით, მაგრამ მე მინდოდა სანატრელის ცხებულის  
შეფის თეიმურაზისათვის ჩემი ერთვულება გამომეცხადებინა და  
ჩემი თავი იმისის სიყვარულისათვის დავსდევ კეშმარიტად, აბ-  
დულაბეგს ასე უფლიდის კინებდისინ შეფის თეიმურაზისა და  
იმისის შეილის ირაკლის სახელი საქართველოში იხსენება, ამ  
ციხეს ცოცხალი ვერ დაგანებებ-მეთქი, და დიდადაც მემუქა-  
რებოდა და ქალაქის ახალებლივ რომ წამოვიდა, ქრისტეს ზე-  
წევნით ბატონშა გაიმარჯვა, აბდულაბეგ დამარცხდა და შემ-  
დგომად რაოდენისიმე გამისა ქალაქს ჩამოველ, და ჩემი ამბავი  
სანტრელს მეუეს მოხსენებოდა, რევაზ სარდალს აღარ დამა-  
ნება, ასე უბრძანა, ჩემი ყმა ჩემთვის მინდოო, სარდლიდამ გა-  
მომიყვანა და თავის პალატში მიმსახურებდა, და ვემსახურე-  
ბოდი, კინებდისინ პატრებს ქალაქიდამ გაყრიდნენ, და ეს საყ-  
დარი და სასახლე რომ წაართვეს პატრებს, მაშინ მიბრძანა  
სანატრელმან ბატონშან, შენგან ვალდებული ვარ და ამისთვის  
პატრების საყდარი და სასახლე მიბოძებია შენთვისათ და იქ  
უნდა დასდგეო. კეშმარიტებას ვფიცავ, დიდად შევწუხდი და  
ბევრიც ვიტირე, ჩემგან იმათის პალატიდამ მოშორებისათვის,  
მაგრამ რაღა გამეწყობოდა, მას აქეთ ვცხოვრობ აქ, შეილნო  
ჩემწო, და ჩემგან ტემილმან იქსომ თქვენი თავი მომცა, თხით  
შეილნი დამიქორწილებიხარ, თხით კომლი კაცი მიყიდია, სა-  
სახლე ვიყიდე სუფნაშანთან. ეღვაზ ეიყიდე ნამანგლელივის

შეიღლის ვახტანგისაგან, ნიკოლას შეიღლის მამული თავისის  
წყლითა, წისქვიღლითა, მინდვრითა, ვენახითა, მთითა, ბარითა,  
ნასყიდითა და უსყიდითა. ვენახი ერთი ბოგვის თავს არის და  
ერთი სოფელში არის. რაც მამისა და პაპის მამული გვაქის,  
შემიმატებია და არა დამიკლია-რა. ამ, შეიღლო, გვიღდები  
და გლოცავ მოხუცებული მამა თქვენი გიორგი დეკანოზი ლა-  
რიძე, რათა დაადგრეთ სიყვარულსა ზედა ურთიერთისასა და  
სიტყვანი ჩემი დამიმართოთ და რათა იყო მადლი უფლისა  
იქცმი ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა, და კურთხევა სულისა  
ჩემისა მიერ ნუმა მოაკლდების თავთა თქვენთა იქცმის ტემი-  
ლისა ჩემისა მიერ ამ და უკუნისამდე, ამინ.

ჩარჩოს  
დეკანოზი  
გიორგი

თავში წარწერა აქვს:

ჩეინ ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე იმაკლი მეორე  
ანდერძის წერილისა მის ვამტკიცებთ, ივლისს და, კეს უბრძა-  
მარიტად სარწმუნოა, ამისათვის დიდიდ ვამტკიცებთ.

მეფე  
იმაკლი

ბოლოში შემდეგი წარწერანია:

დაიწერა ესე წიგნი და ანდერძი ჩარჩოს შეიღლის მღვდლის  
ნიკოლოზისაგან ამის მიზეზით, მოძლევარი ვიყავ ამისი, ინგა და მე  
დამატებინა, ესე ანდერძი თავის პირით აღიარა და მე დავსწერე,  
ამისი მოწიაშეც ვარ. დაიწერა დეკანმარის ქვე, ქვეს უბრძა.

მინა ლამა  
ნიკოლოზი

ჩეინ საქართველოს უფლის წული მეფის ე გიორგი კურ-  
თხეულის ჩვენის მოძლევრის ანდერძისა მის ვამტკიცებ ა, ქვეს  
უბრძა.

ჭიათ  
უბრძა

მე ამათ სახლში აღზრდილმან იმერელმან, გიორგი მღვდელ-  
მან, ეს ანდერძის წიგნი ასლიდამ უმეტნავლებოდ და თანას-  
წორ გაღმოასწერე, აგვისტოა თ, ქვეს უბრძა. [გიორგი].

მე ქვემო კელის-მომწერმა ეს ანდერძის წიგნის პირი და  
ასლი ერთმანერთს შევამოწმე და თანასწორედ არის გაღმოწე-  
რილი, ქვეს უბრძა, აგვისტოს ქ. ვაბაშეიღლი [გიორგი].

მე ქვემო ხელის-მომწერმა ეს ანდერძის წიგნის პირი და  
ასლი ერთმანერთს შევამოწმე და თანამდებობები ირის გად-  
მოწერილი ქვე უძგ, აგვისტოს ჰგ. მეცნიერის შეილი მორთუ-  
ლაძე.

ნიკირი
დავით

- 249.** ღამტურების წერილი საქართველოს მემკვიდრის დავითისა ლარა-  
ძეთადმი, 22X36,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალზე რგვალი  
მხედრულის ხელით. ნიშნებათ ისმარება მძიმე და წერტილები.

**1801, მარტის 30.** წყალობითა ქათისათა ჩქინ ყოვლისა  
საქართულოობა და სხუათა მეფის გიორგის პირმშომან ძემან,  
საქართულოს მემკვდრებან, რუსეთის ლენინალ-ლეიტენანტმა  
და კავალერმან დავით ესე წერილი გიბბოძეთა თქქის ძევლადე  
დიდის მთავრის ეგროსის შოამომავალთა, საქართულოობა სამე-  
ფისა ტახტისა ძირულიდ მკვდრთა აზნაურთა ლარაძეთა, ვი-  
თარუა წერილ ხართ ტრახტატისა შინა სამეფოთა აზნაურთა  
რიცხვეთა შორისცა, თქვენ აზნაურთა ლარაძეთა—იონეს, იო-  
სებს და პეტრეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა  
ყოველთავე, ესრეთ რომელ ოდეს დიდმან ეგროსმან აღაშენა  
მენერედათას შინა სახელს თვისსა ზედა ჭალ-ჭი და უწოდა  
გერასა, რომელსა დღეს უწოდებენ ღადაშება, და თქვენი წი-  
ნაპარნი ნათესავნი მისი შემდგომად მრავალთა დროთა გადმო-  
სულხართ და ლასახლებულხართ სამეფოთა აღვილთა მცირე-სომ-  
ხად. ს და საპარაზოთანისა შინა, საღაცა გაქტის სოფლები მთა-  
სა, და ბარში, და ერთს თქვენს სოფელს ძველისა შოამომავლო-  
ბისა თქვენისა სახელი ეწოდების დიდი—ეგრისა, რომელშიაც  
არის თქვენი სასაფლო საყდრები, და ყოველთა საქართულოს  
მეუეთათვეს ერთვულიდ უმსახურნიათ წინაპართა თქვენთა,  
ვითარუა მამასაცა თქვენსა გიორგის დიდად და სიცოცხლის  
შეწირვთ უმსახურნია პაპის-ჩემის მამის გვრცელოსანის მეუეს  
თქიმურაზისათვეს, რომელსაცა სამსახურისა მისისათვის ჯილ-  
დოდ უბოძებია ტფილისა შინა სარებობას ეფლესის გარემო  
სახლები, და მას აქეთ თქვენ პფლობთ მკვდრად და უცილებე-

ლად და ოქვენი სამკუდრო არის. დღესკა იგიე სახლები თქვენ ჩენთა ერთგულთა და ნამსახურთა აზნაურთა ლარაძეთა დაგმტყცედ ამით ესრეთ, რომელ ვითარტა უწინარეს ჩენსა და დროსაცა ჩენსა თქვენი არის და არავისგან ჩამოგროვათ, ეგრეთუც დღეს და დღეს შემდგომ არცა ჩენგან და არცა საჭათა მეპატრიონეთა შეფეთავან არ ჩამოგროსთ, არცა თქვენ და არცა შემდგომთა თქვენთა, გქონდესთ და მოგაბარისთ ტინ სამეფოსა ტახტისა ერთგულებასა და სამსახურსა შინა, რომესაცა ვაწერთ ხელითა ჩენითა, და ვამტყცებთ ლერბითა ესრეთ, წელსა ჩ.ე.ა. მარტის დ.

შემდეგ დავითის ხელით: საქართველოს მემკეილე მეფის ძე ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით (ხელჩართულათ). (უზის ლუტის ბეჭედი საქართველოს ლერბით).

**250.** ნასყიდობის წიგნი, 52×21 სანტიმეტრი, დაწერილია მშენების ქადალდე ნება შედრულის ხელით. ნიშებათ იხმარება თოთო, თხრ-თხრი და სამ-სამი წერტილი. შესავალი განკებ გამოკეტვეთ. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი თერმოტერმი სიგელ გუჯარი გადამოესწერეთ ჩენ ვ. შენშევის დელნებიდან და ნამდეილები უკან დაუბრუნეთ.

**1670.** მარიამობისთვის 2. ....ესე უთუო და უთუმტაო, დრო დაუდებელი, მიზეზ შემოუდებელი, ყოვლის წეუბის და ილეთისგან გამოსრული და გამოკრებული ნასყიდობის წიგნი გიბოძეთ ჩენ ქრისტე[ს] მიერ კურთხეულმან რევიზილმა ბოლნელმა ეფისკოპოზია იმსებ. ნოგვიდეთ თქუენ შინშიაშეილს დონმაზისა, ელიზაბერსა და შეილთა თქუენთა ნასყიდასასა, რომ-ტომისა, ხოსროვისა, ოთარსა, მამავილსა სახლისა თქუენისათა, ას რე რომე ზემო-ბოლინის სავენახე მიწა მოინდომე, ჩენ ჩენის ნებაწალინით მაგიერი მიწა გამოვართუით და აღავინანს შეილის და მითარას შეილის მიწა მაგიერით მოგეცით. ზეით თავს სამ-ძულარი შეაბოლდნერას რუმდინ, ქუემო ბოლოს ქუემო-ბოლ-ნელის რუმდინ, ქუეოთ გუერდით ასლუას შეილის მიწის სამ-ძულარამდინ, ზემო გუერდით საურმე ხილი მისის ჩატანებით,

